# საქართველო

ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა შაბათს

№89 (1599)

10–12 სექტემბერი, 1997 წელი


## მოლაპარაკებები სკანდალური ვითარების გამო

2

## ფოთს კატასტროფა ემუქრება

2

## ვისთვის მოვახდინეთ რევოლუცია?

3

## თავიდან ავიცილოთ რადიაციული დასნეზოვნების უდიდესი საფრთხე!

4

# საქართველოს ტერიტორიული პრეტენზიები აქვს რუსეთის მიმართ

„საქართველოს ტერიტორიული პრეტენზიები აქვს რუსეთის მიმართ," – ამის შესახებ განუცხადა „ინტერფაქსს" საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ მალხაზ კაკაბაძემ. მისი თქმით, ერთ-ერთი სადავო უბანია სოფელი ზემო ლარსი, რომელიც საქართველოს სამხედრო გზაზე, რუსეთის ტერიტორიაზე მდებარეობს. მ.კაკაბაძის თქმით, ამ რაიონის მიმართ ტერიტორიულ პრეტენზიებზე ოიციალურად განუცხადეს რუსეთის ხელისუფლებას, იგი სპეციალური გარჩევის საგანი იყო ივნისში ვლადიკავკაზში გამართულ ორი ქვეყნის ექსპერტთა შეხვედრაზე. მიღებული სპეციალური ოქმი მხარეებს ავალდებულებს, საზღვრის საბოლოო დადგენამდე, არაფერი მოიმოქმედონ ახლანდელი სიტუაციის შესაცვლელად. თუმცა, როგორც მალხაზ კაკაბაძემ თქვა, რამდენიმე კვირის წინათ ეს ოქმი „უხეშად დაარღვიეს" რუსმა მესაზღვრეებმა, მათ საკონტროლო გამშვები პუნქტი 500 მეტრით გადასწიეს ნეიტრალური ზონის სიღრმეში, რომელზეც პრეტენზია აქვს საქართველოს. კაკაბაძემ საზღვრის სადაო უბნების გადაწყვეტისადმი ამგვარ მიდგომას „არაცივილიზებული" უწოდა, რაც არა მარტო ხელყოფს საქართველოს სუვერენიტეტს, არამედ ძირს უთხრის რუსეთის ავტორიტეტს საერთაშორისო არენაზე.

იმავე დროს მ.კაკაბაძემ იმედი გამოთქვა, რომ ორი ქვეყნის ურთიერთობისათვის ეს არადამახასიათებელი ეპიზოდი მოლაპარაკების მაგიდასთან ამოიწურება. ამჟამად არსებული რუსეთ-საქართველოს საზღვარზე არის სხვა სადაო უბნებიც, რომელთა კუთვნილებაც საზღვრის დემარკაციისა და დელიმიტაციის დროს განისაზღვრება.

მ.კაკაბაძემ თქვა, რომ ამჟამად საქართველომ და რუსეთმა მთლიანად შეათანხმეს საზღვრის ხაზი ყაბარდო-ბალყარეთის და ინგუშეთის უბნებზე. განსაზღვრის პროცესშია საზღვრის უბნები დაღესტნის, ჩრდილოეთ ოსეთის და ყარაჩაი-ჩერქეზეთის რაიონებში. რაც შეეხება საზღვარს კრასნოდარის მხარისა და ჩეჩნეთის რაიონებში, ამ უბნებს საქართველოსა და რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები შემდეგ ეტაპზე განიხილავენ. (მოამბე-ექსპრესი)




## იმუშავეთ, მხოლოდ უფულოდ!

2

# უნდა აღიარონ სამხედრო გადატრიალების ფაქტი

ზვიად განმათავისუფლებლის პარტია გუშინ გავრცელებულ განცხადებაში კატეგორიულად აცხადებს, რომ „შევარდნაძესა და მის ხუნტისმემკვიდრე პარლამენტს არანაირი სამართლებრივი უფლება არა აქვს შეაფასოს დეკემბერ-იანვრის სამხედრო გადატრიალება". განცხადების ავტორები მოუწოდებენ ეროვნულ-პოლიტიკურ ორგანიზაციებს, „შეწყვიტონ სამხედრო გადატრიალების შეფასების მოთხოვნა ფაქტობრივი პარლამენტისადმი, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი მოთხოვნა შეფასდება, როგორც ფარული ალიანსი შევარდნაძესა და მის უკანონო ხელისუფლებასთან, ვის პირდაპირ ინტერესებშიც შედის დეკემბერ-იანვრის გადატრიალების შეფასება, რათა შეიქმნას სამართლებრივი საფუძველი კოალიციური მთავრობის შესაქმნელად რესტავრირებული „კანონიერების" აღდგენის გზით".

„შევარდნაძემ და მისმა ხუნტისმემკვიდრე პარლამენტმა მხოლოდ უნდა აღიაროს სამხედრო გადატრიალების ფაქტი და უკანონოდ და ბათილად სცნოს 11 ოქტომბრისა და 5 ნოემბრის საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები" – ნათქვამია განცხადებაში. (იფრინდა)

# აფერუმ, თავმჯდომარე!

„ადამიანები, რომლებმაც დაკარგეს საკუთარი კერა, საკუთარი სახლი, წინაპრების საფლავი, არ შეეგუებიან ამ მდგომარეობას და სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებენ თავისი პირადი სამართლიანობის აღსადგენად" – თქვა პარტიზანულ მოძრაობაზე საუბრისას პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ პარლამენტის ბიუროს გუშინდელ გაფართოებულ სხდომაზე. სხდომა აფხაზეთის საკითხს მიეძღვნა.

„ჩვენ ვერანაირად ვერ დავეხმარებით მათ, მაგრამ არ მგონია, რომელიმე უწყების ხელმძღვანელს ჰქონდეს მორალური უფლება, ხელი შეუშალოს ამ ადამიანებს და მოდით იმაზე მაინც ვიფიქროთ, რომ ნუ მივიღებთ იმგვარ გადაწყვეტილებებს აქ – პარლამენტში, რომელიც ხელს შეუშლის ამ მოძრაობის განვითარებას და მის საქმიანობას" – თქვა ჟვანიამ.

„აფხაზური მხარე ვერ მიაღწევს სიმშვიდეს, ვიდრე არ აღდგება ქვეყნის იურისდიქცია" ავტონომიურ რესპუბლიკაში. „ვიდრე არ დაბრუნდება უკანასკნელი დევნილი საკუთარ სახლში, ამ მიწაზე მშვიდობა ვერ დამყარდება" – აღნიშნა ზურაბ ჟვანიამ. (პრაიმ-ნიუსი)

# მოლაპარაკებები სკანდალური ვითარების გამო

12 სექტემბერს გაიმართება რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკებები ორი ქვეყნის საზღვარზე სპირტის ტრანზიტთან დაკავშირებით შექმნილი პრობლემების საკითხებზე – აცნობეს პრაიმ-ნიუსს რუსეთის მესაზღვრეთა პრეს-სამსახურში.

საქართველოს დელეგაციას უხელმძღვანელებს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე მიხეილ უკლება. კავკასიის საგანგებო სასაზღვრო ოლქის სამხედრო დაჯგუფება „გრუზია" არ ღებულობს მონაწილეობას რუსეთ-საქართველოს საზღვრის დაცვაში, თუმცა მისი შტაბის უფროსი ვლადიმერ მანიჩი მაინც მიიწვია რუსეთის მხარემ მოლაპარაკებებზე. პარასკევს დაგეგმილ მოლაპარაკებაში შეიძლება მონაწილეობა მიიღოს საქართველოში რუსეთის საელჩოს მრჩეველმა ვიაჩესლავ ციპუკოვმა. როგორც პრაიმ-ნიუსს სამხედრო დაჯგუფება „გრუზიაში" აცნობეს, რუსეთის მხრიდან მოლაპარაკებებს შეიძლება დაესწროს კავკასიის საგანგებო სასაზღვრო ოლქის უფროსის მოადგილე გენერალ-მაიორი პაველ ბაბკინი.

რუსეთის ფედერალური სასაზღვრო სამსახურის ხელმძღვანელობა ურყევად ინარჩუნებს თავის პოზიციას – არ დაუშვას საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტით გამოვლილი სპირტის რუსეთში გატარება და ამ ტვირთს კონტრაბანდას უწოდებს. ჯგუფი „გრუზიას" პრეს-ცენტრის ცნობით, ქვემო ზარამაგის საკონტროლო გამშვებ პუნქტთან 450 სპირტმზიდი დგას, ხოლო ზემო ლარსთან – მათი რიცხვი სამასამდე აღწევს.

ჯგუფში „გრუზია" განგვიმარტეს, რომ ფოთსა და სარფში რუს მესაზღვრეებს უფლება არა აქვთ გააჩერონ ტვირთები, ხოლო რუსეთ-საქართველოს საზღვარზე გატარების საკითხი საზღვრის გადაკვეთამდე უნდა გაირკვეს. ქართული მხარე ამტკიცებს, რომ ტვირთთან დაკავშირებული პრობლემები რუსეთის ტერიტორიაზე უნდა მოგვარდეს.

„გრუზიას" პრეს-ცენტრში პრაიმ-ნიუსს აცნობეს, რომ რუსეთში მიმავალ სპირტზე არაა გადახდილი სააქციზო გადასახადი.

რუსეთის მესაზღვრეთა პრეს-სამსახურის მონაცემებით, 1996 წლის აგვისტოდან 1997 წლის თებერვლამდე საქართველო-თურქეთის საზღვარზე ყოველდღიურად სამოციდან 120 ტონამდე სპირტი შემოდიოდა. ტვირთის ნაწილი საქართველოში რჩებოდა, ნაწილი მიდიოდა აზერბაიჯანში, ხოლო დღეში 10 ტონა მიდიოდა რუსეთის მიმართულებით. შეზღუდვები, რის გამოც სკანდალური ვითარება შეიქმნა, 1997 წლის მარტში დაიწყო, როდესაც რუსეთის მთავრობამ მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება ადგილობრივი მეწარმეებისათვის მხარდაჭერის შესახებ. მანამდე გატარებულ სპირტზე გაფორმებული იყო ლიცენზიები და მოკრებილი იყო სააქციზო გადასახადები.

სამხედრო დაჯგუფება „გრუზიაში" მიაჩნიათ, რომ სატრანზიტო ქვეყანამ ტვირთის მიღებამდე უნდა დაარეგულიროს ყველა საკითხი, როგორც ტვირთის გამომგზავნთან, ასევე მის დამკვეთთან. როგორც საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ გასულ ორშაბათს განაცხადა ტრადიციულ რადიოინტერვიუში, „საქართველო ატარებდა და მომავალშიც გაატარებს ნებისმიერ ტვირთს, რომელიც არაა აკრძალული საერთაშორისო ნორმებით". საქართველო გაუგებრობას გამოხატავს რუსეთის ფედერალური სასაზღვრო სამსახურის დირექტორის ანდრეი ნიკოლაევის შეურაცხმყოფელი განცხადებებთან დაკავშირებით „ძალისმიერი მეთოდების, მათ შორის, ავიაციის გამოყენების" შესახებ. შევარდნაძემ მიზანშეწონილად მიიჩნია სადაო საკითხების მოლაპარაკებების გზით გადაწყვეტა.

სამხედრო დაჯგუფება „გრუზიას" მონაცემებით, რუსეთ-საქართველოს საზღვარზე გაჩერებული სპირტმზიდების ნაწილი აზერბაიჯანისაკენ გაეშურა შემდეგ დაღესტანში გადასვლის მიზნით. „არც იქ გაატარებენ მათ" – უთხრეს პრაიმ-ნიუსს „გრუზიას" პრეს-ცენტრში.

იგივე პრეს-სამსახურის ცნობით, 7 სექტემბერს რუსეთის მესაზღვრეებმა დააკავეს თურქეთიდან სოხუმში მიმავალი გემი „კაპიტანი შუქრი", რომლის ბორტზეც 32 ტონა სპირტი აღმოაჩინეს. 9 სექტემბრის მონაცემებით, გემი სოხუმის პორტში დგას გარე რეიდზე და მას რუსი მესაზღვრეები აკონტროლებენ. გემის საკითხი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ერთობლივად განიხილება. (პრაიმ-ნიუსი)

## დელეგაცია სოხუმში მიდის...

სოხუმში გამგზავრებამდე აფხაზეთის დევნილი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ლონდერ ცაავამ პრაიმ-ნიუსთან ინტერვიუში განაცხადა, რომ ეს მორიგი სამუშაო შეხვედრა იქნება, რომელზეც ძირითადად ორი საკითხი განიხილება – აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსისა და ლტოლვილთა დაბრუნების შესახებ.

გუშინ სოხუმში გაემგზავრა საქართველოს დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში შედიან საქართველოს ელჩი რუსეთის ფედერაციაში ვაჟა ლორთქიფანიძე, თავდაცვისა და უშიშროების საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე რევაზ ადამია, აფხაზეთის დევნილი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ლონდერ ცაავა და უშიშროების მინისტრის მოადგილე ავთანდილ იოსელიანი. შეხვედრაში რუსეთის მხრიდან მონაწილეობას მიიღებს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ბორის პასტუხოვი, გაეროს მხრიდან – გაეროს საქართველოს მისიის ხელმძღვანელი ლივიუ ბოტა.

ლონდერ ცაავა მის ჩართვას დელეგაციის შემადგენლობაში წინ გადადგმულ ნაბიჯად მიიჩნევს, რადგანაც იგი აფხაზეთის დროებით დევნილობაში მყოფ ლეგიტიმურ ხელისუფლებას და ასობით ათას ლტოლვილს წარმოადგენს.

ცაავას თქმით, მისი დელეგაციის შემადგენლობაში ჩართვის საკითხი სოხუმის ახლანდელ ხელისუფლებასთანაც შეთანხმებულია. (პრაიმ-ნიუსი)

## გვაშინებენ კიდევ?!

უშიშროების სამსახურის უფროსის მოადგილის ავთანდილ იოსელიანის თქმით, აფხაზები გეგმავენ ჩვენ ტერიტორიაზე დივერსიული აქტების ჩატარებას, რისთვისაც ისინი ამზადებენ დივერსიულ ჯგუფებს. ოპერატიული მონაცემებით, იმ შემთხვევაში, თუ რუსეთის სამშვიდობო ჯარები გავლენ კონტროლის ზონიდან, აფხაზებს დაგეგმილი აქვთ გასვლის შემთხვევაში რუსებს ჩამოართვან საბრძოლო ტექნიკა და დაიკავონ პოზიციები მდინარე ენგურის გასწვრივ. მისი თქმით, ისინი აპირებენ ფართომასშტაბიანი სადამსჯელო ოპერაციების განხორციელებას გალის რაიონში.

ა.იოსელიანის განცხადებით, რუსეთის სამხედრო პოლიტიკური წრეები დიდ ინტერესს იჩენენ აფხაზეთის პრობლემისადმი. აფხაზური მხარის მხრიდან პარტიზანული მოძრაობის ორგანიზებაში მისი დადანაშაულების პასუხად, იოსელიანმა თქვა: „ჩვენს უწყებას არანაირი კავშირი არა აქვს პარტიზანულ მოძრაობასთან". იოსელიანის თქმით, მან არძინბას განუცხადა: „სანამ ისინი, ვინც შენ გამოყარე, თავიანთ სახლებში არ დაბრუნდებიან, არ მოისვენებენ" (მოამბე-ექსპრესი)

## სასამართლომ დაადგინა: ალგეთის პოლიგონის საკითხი კვლავ ღიად დარჩეს. როდის მოძებნიან „სათანადო" მოსარჩელეს?



გუშინ ქალაქის სასამართლოს კოლეგიამ განიხილა ილია ჭავჭავაძის საზოგადოების საკასაციო სარჩელი ალგეთის პოლიგონთან დაკავშირებით.

აღნიშნული საკითხი ერთი თვის წინ, ვაკის რაიონის სასამართლომ განიხილა. სარჩელის ადრესატი თავდაცვის სამინისტრო იყო. სასამართლოს გადაწყვეტილებით საქმე შეწყდა არასათანადო მოსარჩელის გამო, რადგან სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელე უნდა ყოფილიყო ან საპატრიარქო, ან კულტურის სამინისტროს ძეგლთა დაცვის სამმართველო.

ამჯერად ჭავჭავაძის საზოგადოებას ვაკის რაიონის სასამართლოსთან აქვს პრეტენზია, რადგან თვლის, რომ მათ მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება არაკანონიერია.

ქალაქის სასამართლოს კოლეგიის განჩინებით, ვაკის რაიონის ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილება გაუქმდა. გადაწყდა – ი.ჭავჭავაძის საზოგადოების სარჩელს განიხილავს იმავე რაიონის სასამართლო, მხოლოდ ამჯერად სხვა შემადგენლობით.

„იფრინდა"-ს კორესპონდენტთან საუბარში ი.ჭავჭავაძის საზოგადოების თავმჯდომარემ თ.ჩხეიძემ განაცხადა, რომ ჯერჯერობით საკითხს მოგვარებულად ვერ ჩათვლის, რადგან პოლიგონის საკითხი კვლავაც გადაუჭრელია. საზოგადოების ლიდერი აქვე მიესალმა იმ ფაქტს, რომ უკანონო გადაწყვეტილება გაუქმდა. (იფრინდა)

## ფოთს კატასტროფა ემუქრება

საქართველოს „საზღვაო კარიბჭეს" – ფოთს ეკოლოგიური კატასტროფა ემუქრება. ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩაუტარებლობის გამო შავი ზღვის სანაპირო ზოლის ეს მონაკვეთი წარეცხვის საშიშროების წინაშე დგას.

ამჟამად 13,6 კილომეტრიანი სანაპირო ზოლიდან 2 კილომეტრი სიგრძის „დიდი კუნძულის" სანაპიროსა და იქვე არსებულ სასაფლაოს წარეცხვა ემუქრება. ზოგიერთ ადგილებში შეინიშნება ლოკალური ჩავარდნები. ამიტომ აუცილებელია ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარება. ფოთის მერიის ურბანიზაციისა და მშენებლობის დეპარტამენტის ტერიტორიული ერთიანი დამკვეთის უფროსის მერაბ მამალაძის თქმით, ამ სამუშაოებისათვის საჭიროა ცენტრალურმა ბიუჯეტმა გამოყოს ყოველწლიურად დაახლოებით 1,5 მილიონი ლარი. ფოთის სანაპირო ზოლის აღდგენას, დაფინანსების შემთხვევაში 4-5 წელი დასჭირდება. ამის შემდეგ კი რეგულარულად საჭირო იქნება პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარება.

ფოთის მერიის ურბანიზაციისა და მშენებლობის დეპარტამენტის ტერიტორიული ერთიანი დამკვეთის უფროსის მერაბ მამალაძის ინფორმაციით, ამ პრობლემის მოგვარების ორი მეთოდი არსებობს: ბუნებრივი, რომელიც გულისხმობს კალაპოტის მიერ წამში 300 კუბომეტრი სანაპირო ზოლის მკვებავი ხარჯის (ბუნებრივი მასალა) გატარებას, რომელიც დაიცავს სანაპირო ზოლს წარეცხვისაგან. ამისათვის საჭიროა გაიწმინდოს რიონის კალაპოტი და იგი მიყვანილ იქნას საპროექტო ნიშნულებამდე. ეს სამუშაოები გაცილებით ნაკლები დაჯდება, ვიდრე ხელოვნური რეგულირების მეთოდი – თქვა მამალაძემ.

ქალაქის დატბორვის საშიშროების თავიდან აცილების მიზნით 1939 წელს მდინარე რაიონს, რომელიც მანამდე ნავსადგურთან უერთდებოდა ზღვას, შეუცვალეს კალაპოტი, რამაც გამოიწვია რაიონის მიერ შემოტანილი ზღვის სანაპიროს მკვებავი ხარჯის შემცირება. ამან სანაპირო ზოლის ინტენსიური წარეცხვა გამოიწვია.

1959 წელს სანაპიროს ჩაუტარდა ნაპირსამაგრი სამუშაოები, მაგრამ 1990 წლიდან სამუშაოების შეჩერების გამო კვლავ დაიწყო სანაპირო ზოლის წარეცხვა. დღეისათვის სანაპირო ზოლი მძიმე მდგომარეობაშია. საბჭოთა პერიოდში გასამაგრებელ სამუშაოებს ყოველწლიურად აწარმოებდა „საქზღვანაპირდაცვა". ამ სამუშაოებისათვის 55 მილიონი მანეთი იყო გამოყოფილი, აქედან 15 მილიონი ფოთის საზღვაო ზოლს (რომელიც 13,6 კილომეტრს შეადგენს) ხმარდებოდა. ბოლო 6 წლის განმავლობაში კი საქართველოს ბიუჯეტიდან არ გამოყოფილა არავითარი თანხა ფოთის სანაპირო ზოლის გასამაგრებლად.

სხვადასხვა მიზეზის გამო მდინარე კაპარჭინამ გაიკეთა ახალი კალაპოტი ზღვასთან შეერთების უბანზე და ინტენსიურად რეცხავს მალთაყვის ფოჭვნარს საკურორტო ზოლში. 2 კილომეტრის მანძილზე დაირღვა ბუნებრივი ლანდშაფტი და მიუვალი გახადა ზღვის სანაპირო ზოლი. მდინარე წარეცხვით ემუქრება ფოთი-ბათუმის საავტომობილო გზას.

სამხრეთ მოლთან სანიაღვრო კანალიზაციის ზღვასთან მიერთების უბანზე ამ კანალიზაციის დაპროექტებისას დაშვებული შეცდომების შედეგად კოკისპირული და ხანგრძლივი წვიმების დროს, რასაც თან ახლავს ზღვის დონის აწევა, იტბორება მიმდებარე მჭიდროდ დასახლებული ტერიტორია და სერიოზულ ზარალს აყენებს მოსახლეობას.

არის სხვა მნიშვნელოვანი ეკოლოგიური პრობლემებიც, მათ შორის, რიგი უბნების ფეკალური წყლებით დატბორვა. ჩასატარებელი გადაუდებელი სამუშაოების ნაწილი, შესაძლოა, ცენტრალური ბიუჯეტის მეშვეობით დაფინანსდეს.

ზღვის ნაპირის გამაგრების, მდინარე კაპარჭინის ახალი კალაპოტისაგან გამიჯვნის თუ სხვა სამუშაოების პროექტები დამუშავდა ადგილობრივი სპეციალისტების მიერ და მათი შეუსრულებლობის შემთხვევაში ფოთს, შეიძლება, სერიოზული ეკოლოგიური კატასტროფა დაემუქროს.

**პრაიმ-ნიუსი**

## იმუშავეთ – მხოლოდ უფულოდ!

რამდენიმე დღის წინ, პრესაში ჭიათურელ მაღაროელთა თხოვნა დაიბეჭდა მთავრობისადმი. თხუთმეტი თვეა ხელფასი არ აგვიღია, უფულოდ ვართ, იქნებ დაგვეხმაროთ, ცოლ-შვილი შიმშილით გვიწყდება. რა თქმა უნდა, მუშების ხვეწნა-მუდარისათვის, არც მთავრობას და არც პარლამენტს თავი არ აუტკივებიათ, თხოვნა დარჩა, ღაღადი „უდაბნოსა შინა". ისე, არ იცოდნენ ალბათ ჭიათურლებმა, რომ ჩვენ მთავრობას ნიანგის მადა აქვს და მგლის ხასიათი, თუ რამე მოიგდო ხელში, მერე არ უნდა გქონდეს იმის იმედი, შენი თხოვნითა და ცრემლების ღვრით წართმეულს უკან დაიბრუნებ. იშრომე უხელფასოდ, ასეთია თანამედროვე ბიზნესმენების ლოზუნგი – მთავრობა პასუხს არ აგებს ველური კაპიტალისტების კანონებზე და ხელშეკრულებებზე, ამბობს გარკვევით, ყველამ თავის თავს თვითონ მოუაროსო, ჩვენ თავი დაგვანებეთ, ხელი დაგვიბანია თქვენს პატრონობაზეო.

ალბათ, ახლაც ხან მაღაროელები მაღაროს წინ ლოზუნგებით და პროტესტის უკანასკნელ ზომებს მიმართავენ – შიმშილობას სიკვდილამდე. ისე კი შევახსენებდი მათ, რომ მათი ბრძოლა ამაოა, ტყუილი გარჯაა, როცა ქვეყანაზე უსამართლობაა, ანარქიაა ქვეყანაში.

მე ჭიათურის მხრიდან ვარ. საჩხერეში დავიბადე და იქ გავიზარდე. მახსოვს და ახლა მინდა მოგაგონოთ ჩემი მეზობლების მონაყოლი, რომლებიც მაღაროში მუშაობდნენ და იქ აღებული ფულით არჩენდნენ ოჯახს. ზემო იმერეთის სოფლები მწირია, ღარიბია, იქაური მოსავალი ოჯახს ოთხ თუ ხუთ თვეს თუ ყოფნის, ამიტომაც მთელი გლეხობის უმრავლესობა მაღაროში მუშაობდა, მიუხედავად არაადამიანური შრომისა.

1928 წლამდე, ჭიათურის მაღაროები კონცესიით აღებული ჰქონდა ამერიკელ მილიონერს და საბჭოთა კავშირის კარგ მეგობარს – ჰარიმანს, ჰარიმანი ეწეოდა ჭიათურაში 4-5 წელი მარგანეცის მოპოვებას. ამ მცირე დროის პერიოდში მაღაროები მექანიზირებული გახდა. გააკეთა საჰაერო-საბაგირო გზები – მაღაროდან მადანი გამოჰქონდათ ელექტრომავლებით.

კომუნისტი აქტივისტები ხშირად მოულოდნელად ესტუმრებოდნენ ხოლმე, მაღაროს მუშებთან მიდიოდნენ, შუბლზე გადაუსვამდნენ ცხვირსახოცს, თუ ოფლს შენიშნავდნენ, ერთ ამბებს ატეხდნენ, კაპიტალისტები ჩვენ მუშებს არაადამიანურ ექსპლუატაციას უწევენ, ფეხქვეშ თელავენ ადამიანის უფლებებს, რასაც ჩვენი მთავრობა ამას ვერ დაუშვებსო. ეტყობა, ჰარიმანს მოწყინდა ამ მატრაკვეცა აქტივისტების ყოველდღიური კაპრიზები მუშათა უფლებების დაცვაზე, მიატოვა ჭიათურა და წავიდა. შემდეგ ჩაიგდეს რა ხელში კომუნისტებმა მაღაროები, მუშებს მაღაროში დღედაღამე ამუშავებდნენ, რას არ იგონებდნენ, ხუთწლედის გეგმის შესრულება, სტახანოვური მოძრაობა. ტემპები. ტემპები. ოფლს ვილა უსინჯავდა შრომისგან ქანცგაწყვეტილ მაღაროელებს – ოფლში რომ იყვნენ გაწუწული.

მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ხელფასები კარგი ჰქონდათ. ხელფასის დაგვიანება არ არსებობდა, თუ რაღაც ასეთი მოხდებოდა, ეფლაცა ხე-

გაგრძელება მე-5 გვ.

# ვისთვის მოვახდინეთ რევოლუცია



თუ საქართველოში რევოლუცია მართლა მოხდა, მაშინ, ბუნებრივია, მისი მთავარი შემოქმედი ხალხი უნდა იყოს. სხვა შემთხვევაში ეს გადატრიალება იქნება, რასაც მთავრობა არ დაეთანხმება. არც შევეკამათებით. ჩავთვალოთ, რომ რევოლუცია მოხდა. მაშინ ჩვენც გვაქვს უფლება პრეტენზია განვაცხადოთ მასში მონაწილეობაზე. და თუ ეს ასეა, მაშინ უნდა დავსვათ სამართლიანი კითხვა: ვისთვის მოვახდინეთ რევოლუცია? ასეთი კითხვის დასმა ერთობ პოპულარული იყო ოციან წლებში. ჰოდა, ახლაც გეკითხებით: ბიუროკრატებისათვის?

მე პირადად ძალიან გავოცდი, როცა ზვიადის ხელისუფლების დროს ისევ ცნობის აღება დამჭირდა რატომღაც მეგონა, რომ დემოკრატია პირველ რიგში ამ საზიზღარ მანქანას მოსპობდა, რომელიც საშინელ შეურაცხყოფას აყენებს ხალხს და ისე უშლის ნერვებს, რომ სამაგიეროს გადახდის მიზერულ შანსსაც კი არ უტოვებს. როგორ? ეგ ყველამ ძალიან კარგად იცის, ვისაც კი რაიმე ურთიერთობა ჰქონია ამ მონსტრთან, რომელიც, როგორც ჩანს, უკვდავია. ვის არ ურბენია ერთი უწყებიდან მეორეში. აქ ცნობაა საჭირო, იქ ცნობის გასაცემად აუცილებლად მიმართვა უნდა მიიტანო (რატომ, მიმართვის გარეშე არა ხარ ის, რასაც იმ ცნობაში გიდასტურებენ?), იქ შტამპი, ხელისმოწერა, შესვენება, საქმეზეა გასული და ერთ-ორ საათში იქნებაო და ვინ იცის კიდევ რა, რას არ შეწვდება მათი მდიდარი ფანტაზია. ყველაფერზე პასუხი გამზადებული აქვთ და ყველაფერში თვითონ არიან მართლები. საწინააღმდეგოს მტკიცებას აზრი არა აქვს. არ მოგიწერს ხელს და მორჩა. ისევ შენი საქმე ფუჭდება. მისი გასაკეთებელი ყოველთვის პრობლემებთან არის დაკავშირებული, ხოლო შენს გასაკეთებელში კი არანაირ შეღავათს არ მოგცემს.

აი, ერთი ფაქტი, რომელიც საერთოა ყველასთვის. შეგიძლიათ თქვენი რაიონის შესაბამის აპარატებზედაც განავრცოთ. რამეთუ ისინი ყველანი ერთმანეთს ჰგვანან. თითქოს ერთი დედმამიშვილები იყვნენ. მე-13 სკოლის თანამშრომლებმა შემოგვტირეს: მთელი წელია ჩვენი სკოლის შენობის წინ ნაგავი ყრია. როგორ არ ვეწვეთ სახლმმართველობას, დასუფთავების კომიტეტს რამენაირად მიეხედა ამ საქმისათვის, არავითარი წინსვლა არ ჩანს, პასუხის ღირსადაც კი არ გვთვლიანო. ალბათ, ნაციონალიზმის უარყოფით გამოვლინებად ჩავთვლიდით, მაგრამ რა ვთქვათ, როცა ქართული სკოლებიც იგივე დღეში არიანო. ის აღარ უთქვამთ, როგორ ქორწილებს მართავენ ხოლმე ვირთხები, რა სადღეგრძელოებს სვამენ. ან კი რა საჭიროა, განა ჩვენ არ გვინახავს მსგავსი სურათები, ნაკლები სიუჟეტები გვაქვს ვირთხების, ტარაკანების თუ ადამიანის სხვა „მეგობრების" ცხოვრებიდან? რას იზამ, სახლმმართველობა თავისებურად „ზრუნავს" ბავშვებისათვის უკეთესი პირობების შექმნაზე. მას თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ორიგინალურად ესმის საკითხი. მიდი და შეედავე. ვერც დაარწმუნებ და ვერც ვერაფერს დააკლებ. საერთოდ მერიის ნებისმიერი სამსახური ძალზე მაგრად დგას და სხვაგვარად არ ძალუძს.

სურათის სიცხადისათვის კიდევ ერთ ეპიზოდს მოვიყვანთ, რომელიც იმას დაგვანახებს, თუ როგორ ითხოვს ხსენებული (და სხვა მრავალი) სახლმმართველობა იმას, რაც „ეკუთვნის". ნაძალადევის რაიონის №2 სახლმმართველობაში რაიმე დოკუმენტის გასაფორმებლად მისულ ადამიანს უმალვე ულტიმატუმს წაუყენებენ: ჯერ ნაგვის გატანის ფული უნდა გადაიხადოს, შემდეგ კი შეიძლება იმ კონკრეტულ დოკუმენტსაც დაადგეს საშველი. ისე არავითარ ცნობაზე და სხვა ამისთანებზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. ერთ შემთხვევაში ხალხმა პროტესტი განაცხადა, რომ არავითარი ნაგვის მანქანა ჩვენთან არ მოდის, ფულს რაზე გვახდევინებთო. როგორ გეკადრებათ, სამი თვეა ჩვენს მიერ გამოგზავნილი მანქანები დადიან თქვენს ქუჩაზეო, მიუგეს სახლმმართველობის თანამშრომლებმა ერთმა ქალბატონმა თქვა: ერთი თვეა იმ კერძო მანქანისათვის ფული არ მიგვიცია და მას მერე აღარც გამოჩენილა, ესენი რომ აგზავნიან, ის მანქანები სადააო.

როგორც ეტყობა, მე-13 სკოლა კერძო მანქანებს ფულს არ უხდის და მხოლოდ სახლმმარველობის მიერ გაგზავნილი ნაგვის მანქანების იმედზეა. რით ვერ გაიგეს, რომ არავინ არაფერს არ გაუგზავნის, თავის თავს თვითონ უნდა მიხედონ.

ასეა, როცა მუნიციპალური სამსახურებისაგან რაიმეს მოითხოვ, ახლა კაპიტალიზმია და თქვენ თავს თქვენ თვითონ მიხედეთო. ხოლო როცა შენს თავს თვითონ მიხედავ, მაშინ გახდება საჭირო ათასგვარი დოკუმენტი, ცნობა, რომ ცნობის აღების უფლება გაქვს, ცნობა, რომ ეს ცნობა ნამდვილად შენია, რომ ცნობის აღებისას დანაშაული არ ჩაგიდენია, რომ მთავრობისათვის არ გოგინებია და ვინ იცის კიდევ რამდენ ქაღალდს, ქვითარს და ათას ნერვებისამშლელ ატრიბუტს მოითხოვენ სიმართლის სადარაჯოზე მდგარი ფხიზელი ბიუროკრატები. საქართველოს ეკონომიკა იმიტომ კი არ არის ამ გაჭირ.., ბოდიში, გაძალლებულ მდგომარეობაში, რომ ხალხი ზარმაცია, რომ ომმა ყველაფერი დაანგრია, რომ მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ქალაქში ცხოვრობს, ათასი სუბიექტური თუ ობიექტური ფაქტორი გვიშლის ხელს, არამედ იმიტომ, რომ ნებისმიერი ენერგიული ადამიანის წამოწყება (თუ მას პატრონი არა ჰყავს) მაშინვე ქაღალდების ამ ზღვას შეეჯახება და უკვალოდ იკარგება კიდევაც. თქვე დალოცვილებო, ლენინი მიხვდა, რომ დანგრეულ ეკონომიკას იმით უშველიდა თუ ხალხს მუშაობის საშუალებას მისცემდა და ამიტომაც შემოიღო ნეპ-ი. ჯერ მიეცით ადამიანებს იმის საშუალება, რომ თავისი შრომით ლუკმა იშოვონ და ამის შემდეგ მოჰკითხეთ გადასახადი, ბაჟი და სხვა. სხვაგან თუ ერთი კომპიუტერი მთელ ბანკს ამუშავებს, ჩვენთან კომპიუტერიც უდგათ (ბოლო თაობის, რა თქმა უნდა, - პრესტიჟის საქმეა) და მაინც ერთი ტონა ქაღალდი სჭირდებათ საქმის საწარმოებლად. ახლა იმ მუშების ხელფასი იკითხეთ, რომლებიც ამ ტონობით ქაღალდის გადაზიდვით არიან დაკავებული.

ამ თემაზე ერთი ძველისძველი ანეკდოტი გამახსენდა: საკდესი გადმოსცემს: გუშინ ჩამოვარდა საბჭოთა რეაქტიული თვითმფრინავი. დაიღუპნენ პილოტი და შვიდი ცეცხლფარეში. არადა საბჭოთა პერიოდში ამდენი ბიუროკრატია ნამდვილად არ იყო. ვილაცის მაინც ეშინოდათ. ახლა ეს ფაქტორიც აღარ არსებობს.

რატომ უნდა არჩინოს ხალხმა ამდენი მუქთამჭამელი, ვინც მართლა არაფერს არ ქმნის, გარდა იმისა, რომ ადამიანებს ნერვებს უშლის. ადრე ისიც ჰქონდათ დათვლილი, თბილისის „დინამოს" გამარჯვება როგორ ამაღლებდა შრომის ნაყოფიერებას. ნეტავ ახლა თუ მაინც დაფიქრდება ვინმე, როგორ იშრომებს კაცი, ამ ბიუროკრატიული ორომტრიალიდან ნერვებმოშლილი რომ წავა სამუშაოდ (თუ საერთოდ ვინმეს აინტერესებს მისი შრომის ნაყოფიერება)?

***P.S.*** *მართალია გაზეთი არ იჭმევა, მაგრამ ის რაღაცას აძლევს ადამიანს, თორემ მას არავინ არ იყიდდა. ერთი გამაგებინა, ეს ამდენი ბიუროკრატიული აპარატი რას აძლევს ამისთანას ხალხს, რომ ვერაფრით ვერ ელევა მთავრობა ამ მარგალიტს. ან ისეთი კაცი მაჩვენა, ვინც თავისი ნებით წავა, ცნობას აიღებს და ამაში ფულსაც გადაიხდის.*

**პაატა მანძულაშვილი**

## ქოლერის ვიბრიონი არ არის

თბილისისა და აჭარის წყალსაცავებში ქოლერის ვიბრიონი არ არის აღმოჩენილი. ამის შესახებ ინფორმაცია გაავრცელა დაავადებათა კონტროლის ეროვნულმა ცენტრმა.

ამავე ცენტრმა, აშშ-ის მერილენდის უნივერსიტეტთან და ჩინელ კოლეგებთან ერთად მიიღო მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული, აშშ-ის ჯანდაცვის ნაციონალური ინსტიტუტების სისტემის „ფოგარტის" ცენტრის 5-წლიანი გრანტი „ხელახლა აღმოცენებულ ინფექციურ დაავადებათა" კვლევისათვის. (გეა)

## მოსწავლეებო, მოემზადეთ გამოკვლევისათვის

საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის უფროსის, რამაზ ურუშაძის განცხადებით, მომავალი კვირიდან დაიწყება I-II კლასელთა კომპლექსური სამედიცინო გამოკვლევა და სადეზინფექციო სამუშაოები.

8 სექტემბერს ამასთან დაკავშირებით გაფორმდა ხელშეკრულება გაფართოებული იმუნიზაციის პროგრამის განხორციელების თაობაზე წითელ ჯვართან. პროგრამისთვის ამ ორგანიზაციას 10000 აშშ დოლარი გრანტის სახით აქვს აღებული. (გეა)

# მოსკოვი. კრემლი. გიგზავნით უკანმოუბრუნებლად

**ქართული** ენის დამკვიდრებას, როგორც კონსტიტუციურად განსაზღვრული სახელმწიფო ენისას, ხელს უნდა უწყობდეს სახელმწიფო, შესაბამისი კანონმდებლობისა და აღმასრულებელი სტრუქტურების შექმნითა და ამოქმედებით. ამჟამად მინიმალური საკანონმდებლო ბაზა თითქმის არსებობს, ჩამოყალიბებულია შესაბამისი აღმასრულებელ-მაკონტროლებელი ორგანოებიც, მაგრამ მათი მოქმედება წვეთი წყალივით წაავავს საბჭოური წყობის დროს ქართული ენის სიწმინდისათვის ბრძოლის კამპანიას, რომელიც ფასადურ ხასიათს ატარებდა, ფაქტიურად კი ხდებოდა საქართველოს გარუსება კი არა, გარუსეთებაც. იმ დროს სხვადასხვა სფეროს თითქმის ყველა ორგანიზაცია-დაწესებულებაში ხდებოდა რუსული ენის გეგმაზომიერი ფარული თუ ღია დამკვიდრება საქმეთა წარმოებაში. 70-80-იანი წლების მიჯნიდან მოყოლებული წმინდა ქართულენოვანი სხვადასხვა დანიშნულების ბლანკები თითქმის აღარ არსებობდა. აღნიშნული, რა თქმა უნდა, ამერიკის აღმოჩენა არ არის, ამის შესახებ ყველამ იცის, ვისაც იმ დროს მოუწია მოღვაწეობა, მაგრამ გასაკვირი ისაა, რომ ასეთი მდგომარეობა თითქმის უცვლელად გრძელდება და ესეც ყველამ იცის, ერმაც და ბერმაც, ხელისუფლებამაც (ყველა შტომ) და ხალხმაც, გამკითხავი კი არავინ ჩანს, მითუმეტეს, როგორც ამ ბოლო დროს ხშირად (ხელისუფლება) აღნიშნავენ, ხელისუფლების ყველა შტო არსებობს და





БАНК СССР

ЧЕКОВАЯ КНИЖКА
на 50 чеков
ДЛЯ ПОЛУЧЕНИЯ НАЛИЧНЫХ ДЕНЕГ

за №№ от ......................... д ..................

(МЕСТО ДЛЯ ШТАМПА УЧРЕЖДЕНИЯ БАНКА)

Счет №.........

ХРАНИТЬ В НАДЕЖНОМ МЕСТЕ ПОД КЛЮЧОМ У РАСПОРЯДИТЕЛЯ СЧЕТОМ ИЛИ У ГЛАВНОГО (СТАРШЕГО) БУХГАЛТЕРА.

ПОРЯДОК ЗАПОЛНЕНИЯ И ПОЛЬЗОВАНИЯ ЧЕКАМИ СМ. НА 2-й СТР. ОБЛОЖКИ

ვითომ წარმატებითაც მოღვაწეობს, თუმცა წარმატებით შეიძლება კიდევაც მოღვაწეობდეს, მაგრამ ეს წარმატება ხელისუფლებაში მოკალათებული ჩინოვნიკების მხოლოდ საკუთარი ცხოვრების რაც შეიძლება კარგად მოწყობაში გამოიხატება, ხოლო ქვეყანაში არც ერთ სფეროში, მათ შორის, ქართული ენის დამკვიდრებაში რეალური წარმატება და წინსვლა არ შეიმჩნევა. მარტო ის რად ღირს, რომ დინოზავრების გამოფენაზე შესასვლელად ბავშვებს რუსულენოვან ბილეთებს მიაჩეჩებენ, ამ გამოფენამ კი თბილისში თითქმის ორ თვეს გასტანა და ასე იყო მთელი ამ ხნის განმავლობაში.

რუსულენოვანი ბლანკების, ბილეთებისა და აბრების გამოყენების ფაქტებს კიდევ ბევრგან შეხვდებით, მაგრამ განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ქართული ენის დამკვიდრების პრობლემა ისეთ მნიშვნელოვან და ყოვლისმომცველ დარგში, როგორიცაა ბუღალტერია. არ არსებობს არც ერთი დარგი, რომელშიც მასზე მეტი სპეციალური ბლანკი გამოიყენებოდეს და დღეს ამ მრავალფეროვნებაში ძნელად თუ აღმოაჩენთ შესაბამის მაღაზიებში წმინდა ქართულენოვან საბუღალტრო ბლანკებს. პარადოქსია, მაგრამ ფინანსთა სამინისტროს მიერ სისტემატურად ხდება სხვადასხვა სახის საბუღალტრო ბლანკების მიღება-დამტკიცება (საბჭოთა ხანაშიც არსებობდა ქართულენოვანი ბლანკების დამტკიცებული ნიმუშები), მაგრამ შეხვალ მაღაზიაში და სტამბიდან ჯერ კიდევ სალებავშეუმშრალ, რუსულენოვან, ან უკიდურეს შემთხვევაში, რუსულ-ქართულენოვან 1960-1970 წლებში სსრკ ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებულ ბლანკებს შემოგთავაზებენ, იკითხავ ქართულს და პასუხიც მზად არის, ძველი დროიდან გვაქვს შემორჩენილი, ამასაც გავყიდით და...

სამინისტროს მიერ დამტკიცებული ბლანკების ნიმუშები კი, როგორც იმ ძველ, სანატრელ დროში ხდებოდა, შემოდეს თაროზე და იმტვერება, როდის ეღირსება დაბეჭდვა და გავრცელება, კაცმა არ იცის, ალბათ, ეს სამინისტროს მესვეურთ ნაკლებად ადარდებთ, რადგან ჩათვალეს, რომ მთავარი საქმე გაკეთებულია, ბლანკების ნიმუშები მიღებულია და სამოქმედოდ შემოღებული იქნება. დროა მათ ბეჭდვა-გავრცელებაზეც იზრუნონ, საამისოდ უამრავი მეთოდი არსებობს, რომელიც თვითონაც კარგად უწყიან.

გთავაზობთ, არასასიამოვნო რელიქვიად ქცეული რუსულენოვანი, შემორჩენილი თუ ახლად დაბეჭდილი ბლანკები გავაგზავნოთ მისამართზე: მოსკოვი, კრემლი, გიგზავნით უკანმოუბრუნებლად, მშვიდობაში მოგახმაროთ, ჩვენ ისინი აღარასოდეს დაგვჭირდება; თორემ, როგორც სპეციალისტები გვირჩევენ... გამოსაყენებლად მავნებელია. ბოლოს და ბოლოს, თუ ასე გამოულევი რაოდენობა დაიბეჭდა და გაგზავნაც ძვირი დაჯდება, წინ ცივი ზამთარი გველის, ცეცხლში შესაკეთებლად მაინც გამოდგება, დაწვით, რათა აღარასოდეს დაბრუნდეს და არც აღარასოდეს გაგვახსენდეს ის დრო, რომელიც ძალაუნებურად გახსენდება, როდესაც რუსულენოვან ბლანკებს ან სხვა რაიმე წარწერას ხედავს კაცი.

**ტრისტან ბერიანიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თავიდან ავიცილოთ რადიაციული დასნებოვნების უდიდესი საფრთხე!

## საქართველოს პრეზიდენტს ბატონ ე.შევარდნაძეს, საქართველოს პარლამენტს, საქართველოს მინისტრთა კაბინეტს

## ღია წერილი

ენერგოკრიზისმა მძიმე ცხოვრების პირობები შეუქმნა ბოლო წლებში როგორც საქართველოს, ასევე სომხეთს. სომხეთის მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს მისი კლიმატური თუ გეოგრაფიული პირობები, გართულებული მეზობლობა აზერბაიჯანთან და შეზღუდული ტვირთბრუნვა საქართველოს მხრიდან ცნობილი მოვლენების გამო.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ სომხეთმა ენერგოკრიზისის დაძლევის ერთადერთ გზად ატომური ელექტროსადგურების (აეს) გამოყენება აირჩია.

ბევრი დაიწერა იმის შესახებ, თუ რამდენად დიდ რისკთან და საშიშროებასთანაა დაკავშირებული კონსტრუქციული არასრულყოფილების გამო მეწამორის აეს-ის ბირთვული რეაქტორის მუშაობა, რომ არაფერი ვთქვათ მისი სიძველით გამოწვეულ კიდევ უფრო დამძიმებულ მდგომარეობაზე, რასაც მოწმობს სადგურის ამჟამინდელი გაჩერებაც სარემონტო სამუშაოების ჩატარების მიზნით.

კიდევ უფრო საგანგაშოა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სომხეთის მთავრობა აპირებს ახალი აეს-ის აშენებას. ეს გარემოება ჩვენს შეშფოთებას იწვევს იმის გამო, რომ აეს-ების მშენებლობა მაღალი სეისმური აქტივობის ზონაში, ისეთში, როგორშიც სომხეთია, კერძოდ, 8, 9, ზოგ წერტილში – 10 ბალიც, – დაუშვებელია სეისმომედეგი მშენებლობის ნორმებით და წესებით. გარდა ამისა, ნებისმიერი ტიპის, სხვასთან შედარებით უსაფრთხო კონსტრუქციის აეს-იც კი მეტისმეტად საშიშია პოტენციურად ომის მდგომარეობაში მყოფი კავკასიის რეგიონისათვის. ყოველივე ამასთან ერთად, საყურადღებოდ მიგვაჩნია ისიც, რომ მსოფლიოს წამყვანმა ბირთვულმა ქვეყნებმა კარგა ხანია აღიარეს აეს-ით წარმოებული ელექტროენერგიის არაეკონომიურობა სხვა თბურ ელექტროსადგურებთან შედარებით.

რომ არა მძიმე მატერიალური მდგომარეობა, ვფიქრობთ, სომხეთი უარს იტყოდა აეს-ის ასაშენებლად რუსეთისაგან დახმარების მიღებაზე და ასეთ სარისკო გადაწყვეტილებას თავიდან აიცილებდა.

საქართველო ვალდებულია არსებული პრობლემის გადაწყვეტაში მიიღოს მონაწილეობა.

ჩვენ გამოსავალი გვესახება სხვა ალტერნატიული გზების გამოყენებაში. მაგალითად, აირად საწვავზე გადასვლით სომხეთს მთლიანად მოეხსნება გარემოს დაბინძურების პრობლემა, ხოლო სომხეთთან ერთად მის მეზობელ ქვეყნებს, მათ შორის საქართველოსაც, – რადიაციული დასნებოვნების უდიდესი საფრთხე. საქართველო, რა თქმა უნდა, სიხარულით დაუჭერს მხარს ისეთ ალტერნატიულ გზას, რომელიც საქართველოს დახმარებას მოითხოვს.

აუცილებელია, სომხეთის მთავრობას ეცნობოს, რომ, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველო სომხეთის ბირთვულ მასალებს თავის ტერიტორიაზე არ გაატარებს.

პატივისცემით

**სმრ პარტიის ეროვნული კომიტეტი**

8.09.97 წ.

*ვაქვეყნებთ სომხეთის ბუნებისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის საკითხებში მუდმივმოქმედი კომისიის მიმართვას სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი გაეროს 1980 წლის რეზოლუციის – „სახელმწიფოთა ეკოლოგიური პასუხისმგებლობის შესახებ დედამიწის ბუნების შენარჩუნებისათვის ამჟამინდელი და მომავალი თაობების ინტერესებისათვის" – თანახმად. იგი გაკეთდა 1993 წლის ივლისში მას შემდეგ, რაც სომხეთის პარლამენტმა უარჰყო თავისივე გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ მეწამორის აეს-ის ამოქმედება მომხდარიყო მხოლოდ რეფერენდუმის გზით მიღებული თანხმობის შემთხვევაში, და დაიწყო აეს-ის აღდგენითი სამუშაოები რუსეთის დახმარებით.*

*გადაწყვეტილება რეფერენდუმის ჩატარების შესახებ მიღებულ იქნა ჯერ კიდევ 1991 წელს ძველი სადგურის საშიშროების გამო, რომელიც გააჩერეს დასახურად (!) 1989 წლის მარტში სპიტაკის მიწისძვრის (რიხტერის შკალით 9–10 ბალიანი სიძლიერის) შემდეგ.*

*როგორც ჩვენთვის ცნობილია, მეწამორის აეს-ში სარემონტო სამუშაოები 16–18 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. მაგრამ, ცხადია, რომ სადგური უსაფრთხო მაინც ვერ იქნება, რადგან მიმართვაში აღნიშნული რისკის ყველა ფაქტორის მოხსნა შეუძლებელია ორი ძირითადი მიზეზის გამო: პირველი – სომხეთის აეს-ი სეისმურად მაღალ აქტიურ ზონაში მდებარეობს; მეორე – აეს-ის ბირთვული რეაქტორი ВВЭР-440/230 არასრულყოფილია, არასაიმედოა ექსპლუატაციის დროს და გაუმჯობესებას არ ექვემდებარება.*

*წარმოდგენილი დოკუმენტი ჩვენ ხელთ ჩაგვივარდა სომხეთის მეშვეობით.*

*ჩვენთვის უცნობია, მიიღო იგი საქართველოს ხელისუფლებამ თავის დროზე თუ არა.*

**საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტი**

### ВЕРХОВНЫЙ СОВЕТ РЕСПУБЛИКИ АРМЕНИЯ

### ПОСТОЯННАЯ КОМИССИЯ ПО ВОПРОСАМ ОХРАНЫ ПРИРОДЫ И ПРИРОДНЫХ РЕСУРСОВ

**Республика Армения, 375095, пр. Маршала Баграмяна, 19**

15 июля 1993 г.

РАННЕЕ ОПОВЕЩЕНИЕ

МЫ,

– исходя из существующих обязательств государств и международного сообщества по предотвращению загрязнения окружающей среды;

– основываясь на разработанном ООН единстве таких концепций как право на жизнь и право на проживание в благоприятных условиях;

– исходя из провозглашенной в 1980 г. Генеральной Ассамблеей ООН резолюции "Об экологической ответственности государств за сохранение природы Земли в интерсах настоящего и будущего поколений ";

ВЫПОЛНЯЕМ ОБЯЗАТЕЛЬСТВО О ВЗАИМНОМ РАННЕМ ОПОВЕЩЕНИИ ГОСУДАРСТВ И МЕЖДУНАРОДНЫХ ОРГАНИЗАЦИЙ О ПОТЕНЦИАЛЬНОЙ УГРОЗЕ ЭКОЛОГИЧЕСКОМУ РАВНОВЕСИЮ СО СТОРОНЫ ОТДЕЛЬНЫХ ГОСУДАРСТВ.

В результате переплетения целого ряда геополитических, политических, географических, экономических и экологических факторов сегодня в Армении и в регионе сформировалась уникальная по степени экологического риска ситуация.

Географическое положение республики специфично.

Армения занимает северо-восточную часть Армянского нагорья, являющегося связующим звеном между Анатолийским и Иранским нагорьями, над которыми она возвышается более чем на 500 м. Географами древности Армянское нагорье было названо "крышей Малой Азии". Географическое положение республики определает экологическое состояние речной сети всего региона, куда входят на юге Азербайджан, Турция, Иран, на севере Грузия, а также бассейн Каспийского моря, затрагивающий территории Туркменистана, Казахстана и России (юг Приволжья).

Экономическая ситуация в Республике сегодня крайне тяжелая. Почти четыре года Армения подвергается прерываемой, а в последние два года непрерывной экономической блокаде. В республику не поступают энергоносители, продукты, медикаменты и т.д. Свои энергетические потребности республики может удовлетворить только на 12% за счет гидроэлектростанций, а остальное топливо ввозится по газопроводам и железным дорогам, которые проходят по территории Азербайджана и Грузии (Абхазия). Две тяжелейшие зимы вынудили правительство начать работы по восстановлению Армянской АЭС, которая была остановлена в марте 1989 года после Спитакского землетрясения по решению Минатомэнерго бывшего СССР.

ПРЕДИСТОРИЯ ВОПРОСА

Армянская Метцаморская атомная электростанция с реакторами типа ВВЭР-440/230 была запущена в 1976 году и проработала 13 лет.

17 апреля 1991 года Парламент Республики решил, что эта опасная станция может быть восстановлена и новую атомную станцию можно будет построить только после положительного ответа референдума.

Перманентная блокада, тупик, в решении Карабахского конфликта, невозможность быстрого строительства новых нефте-газопроводов и новой инфраструктуры путей сообщения, а также полная остановка промышленности заставили Парламент отказаться от своего решения о референдуме. 18 марта 1993 года Парламент отменил свое решение о референдуме и 7 апреля 1993 года Правительство Республики издало указ о начале восстановительных работ на АЭС.

СИТУАЦИЯ НА СЕГОДНЯ

Восстановительные работы на Метцаморской АЭС решением правительства предусматривается провести в сжатые сроки, в то время как специалисты из МАГАТЭ, ФРАМАТОМ (Франция), Бехтел (США) предлагают более длительный срок.

Восстановительные работы на Метцаморской АЭС содержат как минимум следующие факторы риска:

1. реакторы типа ВВЭР-440/230 известны своим несовершенством;

2. реакторы типа ВВЭР-440/230 ненадежны в эксплуатации

3. технически не предусмотрены меры защиты при аварии (отсутствуют защитный купол или механизм подземного обрушения);

4. АЭС не соответствует международным нормам безопасности и технически их невозможно будет обеспечить на уже построенной станции;

5. большая часть оборудования станции на сегодняшний день отсутствует, все это надо будет восстанавливать и все зависит от России, где и своих проблем много;

6. учеными в выбросах работающей АЭС обнаружены изотопы йода, которые в условиях региона (отсутствие природного йода) при аварии будут быстро аккумулироваться в щитовидной железе людей;

7. Госкомиссия под руководством главного санитарного врача республики обнаружила в машинном зале радиоактивный фон в 600 мкр/час, при допустимой норме 16-20 мкр/час;

8. не решены проблемы захоронения радиоактивных отходов. Геологическая структура Армении не позволяет строить могильники, а с другими странами нет договоренности о местах захоронения;

9. потерян квалифицированный технический персонал, и на территории бывшего СССР сейчас еще нет тренажера для подготовки и переподготовки таких кадров в сжатые сроки с учетом новых норм безопасности;

10. нигде в мире нет опыта восстановительных работ остановленной для закрытия (не для ремонта) на 4 года АЭС;

11. сейсмическая опасность территории Армении доказана;

12. под местоположением станции находится многоуровневый артезианский водный бассейн (отсюда эта вода распределяется по всему региону);

13. АЭС находится в центре густонаселенного района (1.7 миллиона человек - больше половины населения республики);

14. не разработаны мероприятия по эвакуации населения при аварии не только по республике, но и по региону;

15. срок годности для подобных станций около 25 лет (с учетом 4-годичной остановки еще меньше) и следовательно через 3–5 лет станцию надо будет опять останавливать и консервировать;

16. нет рассчетов экономической выгодности запуска АЭС;

17. АЭС сможет удовлетворить потребности республики только на 25% и только в электроэнергии, другие энергоносители все равно надо будет ввозить;

18. при нынешней военной ситуации есть угроза террористического акта (неоднократные угрозы бывшего министра МВД Азербайджана взорвать Армянскую АЭС - таких безответственных и некомпетентных руководителей можно найти во всех новых правительствах республик бывшего СССР).

Такое перечисление можно продолжить.

В каждом перечисленном факторе есть определенный процент риска. Особенно вызывает обеспокоенность вынужденность запустить АЭС в сжатые сроки.

Осознание, что риск велик не только для нашей республики, но и для соседних стран, входящих в экологический регион, два года препятствовало началу восстановительных работ на АЭС. Но полная экономическая блокада Армении, поставила ее перед другой угрозой: вымирание от холода и голода. И, как мы уже информировали в предыдущем "Раннем оповещении", мы все встали перед фактом запуска Армянской АЭС. Сознанием народа оперирует уровень сиеминутного физиологического выживания. Разумные призывы об опасности запуска Армянской АЭС не могут получить отклика. Экологи республики, как и Комиссия Парламента по охране окружающей среды и природных ресурсов категорически против восстановительных работ на АЭС особенно в сжатые сроки, но ситуация уже вышла из-под контроля и угроза экологического взрыва стала реальной.

Для организации новой энергообеспечивающей инфраструктуры Республике необходимо несколько лет безблокадного существования. Все свои проблемы мы смогли бы решить в стабильной политической ситуации. Но исходя из реально сложившейся геополитической ситуаций и географического положения республики, мы считаем, что сейчас проблемы энергетики, экономики и экологии республики не являются заботой одной республики. Здесь, в целях общего выживания, необходимы скоординированные действия стран всего региона и посредничество международного сообщества.

**ПРЕДСЕДАТЕЛЬ КОМИССИИ ПО ОХРАНЕ ПРИРОДЫ И ПРИРОДНЫХ РЕСУРСОВ РЕСПУБЛИКИ АРМЕНИЯ**

**С.ШАГИНЯН**

## ვწერენ

# ეგაა დემოკრატია?!

ვერანაირი სახელმწიფო წყობა ვერ ჩაითვლება დემოკრატიულად თუ არ არსებობს და მოქმედებს ადგილობრივი თვითმმართველობა. მოქალაქეთა უფლება მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ საქმიანობაში, ყველაზე უკეთ განხორციელდება უშუალოდ მმართველობის ადგილობრივ დონეზე. არაა სადაო, რომ მხოლოდ პასუხისმგებლობით აღჭურვილი ადგილობრივი ხელისუფლება განაპირობებს როგორც მოქალაქეებისათვის მისაწვდომ, ისე ქვეყნისთვის სასარგებლო მმართველობას.

ამ შუალედური რგოლის არარსებობა ნიშნავს სახელმწიფოს საყოველთაო ჩარევას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რაც აუცილებლად იწვევს ბიუროკრატიული აპარატის განუწყვეტელ ზრდას.

ადგილობრივი თვითმმართველობის არარსებობა ხელს უშლის მოქალაქეების საქმიანობას, მოქალაქეთა თვითშეგნების აღზრდას, რაც ასე აუცილებელია ტოტალიტარული სისტემიდან დემოკრატიულ საზოგადოებრივ ურთიერთობებზე გადასვლის ურთულეს პროცესში.

ტოტალიტარიზმიდან დემოკრატიული მმართველობის ფორმაზე გადასვლის პროცესში დამოუკიდებელ არსებობას გადაჩვეული ქვეყანა არა ერთი პრობლემის წინაშე დგება. პოლიტიკური რეფორმების ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს ხელისუფლების დეცენტრალიზაცია-ადგილობრივი თვითმმართველობის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელი საკანონმდებლო ბაზის შექმნა.

რა თქმა უნდა, ეს სრულებით არ ნიშნავს ველოსიპედის ხელახლა გამოგონებას. ამის დასტურია ის, რომ აღმოსავლეთ ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფო შეუერთდა 1985 წლის 15 ოქტომბრის სტრასბურგის ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების მიერ მიღებულ აქტს, ევროპულ ქარტიას ადგილობრივ თვითმმართველობაზე.

აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ როგორც პოლონეთში, ასევე უნგრეთში ადგილობრივი თვითმმართველობის ფორმირება კონსტიტუციური აღიარებით დაიწყო.

ადგილობრივი თვითმმართველობის ფორმირების პროცესი თუ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყანაში შეუქცევად ხასიათს ატარებს, თუ იქ კონსტიტუციის შექმნის მომდევნო ეტაპია, საქართველოს მთავრობას რამ შეუშალა ხელი ამ მეტად საჭირბოროტო პრობლემის გადაწყვეტაში. ორი წელი ჩიტივით გაგვიფრინდა ხელიდან. კანონი ადგილობრივი არჩევნების შესახებ, რომელიც დღეს განხილვის პროცესშია, გადამღერებაა, თუ მეტი არა, საბჭოური არჩევნებისა.

გაუგებარია, რამ გამოიწვია მთავრობის მიერ ამომრჩევლის სრული იგნორირება, უნდობლობა ადგილობრივი არჩევნების დროს. თუ მათ მიერ არჩეული პრეზიდენტი, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო ქვეყანას მართავს და კანონებს ქმნის, მმართველებს, - მათ მიერ არჩეულებს, რატომ ჰქვებათ წუნი. პარლამენტარ ვანო ხუხუნაიშვილის თქმისა არ იყოს, ჰუმანიტარულ ტვირთთან ერთად ხომ არ გამოგვიგზავნიან მეგობარი ქვეყნები რაიონებისა და ქალაქებისათვის შესაფერის ადამიანებს.

ეგაა დემოკრატია? ეს არც პოლიციურია (ქალბატონ ნესტანის გამოთქმა), არც ანარქიული. ეს შენიღბული დიქტატურაა ტრაგიკომიკური სახით.

ტრაგედიაა, რადგან, შვიდი წელია, რაც ვერ ეღირსა საქართველოს ნამდვილი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები. მაინც როდემდის გაგრძელდება ხალხის მოტყუების მცდელობა (დიახ, მცდელობა)?

მივუბრუნდეთ ისევ პოლონეთს, სადაც ადგილობრივი არჩევნები 1990 წლის 27 მარტს ჩატარდა. შეგვეძლო გაგვეცნობოდით ბალტიისპირეთის რესპუბლიკების გამოცდილებასაც, რადგან ისინიც არ ჩამორჩებიან ხსენებულ იმ ორ ევროპულ ქვეყანას.

ვფიქრობთ, შიში იმისა, რომ პარლამენტის სხდომაზე წარდგენილი პროექტი გავა, გამორიცხულია საღად მოაზროვნეთა აღშფოთებას ის იწვევს, რატომ გრძელდება ისევ ხალხისთვის თვალში ნაცრის შეყრა, როდის დაიწყება სალი აზრისადმი, ჭეშმარიტებისადმი ანგარიშის გაწევა.

**თამარ კონჯარია**

# ტრადიციონალისტები სარჩელის შეტანას აპირებენ



10 სექტემბერს ცენტრალური საარჩევნო კომისია განიხილავს ეროვნული საკოორდინაციო კომიტეტის მიერ შეტანილ საკითხს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით რეფერენდუმისათვის 200 ათასი ხელმოწერის შეგროვებაზე - ამის შესახებ განაცხადა ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის ლიდერმა ა.ასათიანმა გუშინ გამართულ პრეს-კონფერენციაზე.

„ისინი, ვინც დღეს ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებში დანიშვნებს მოითხოვენ, გამსახურდიას დროს დემოკრატიის მედროშეებად გვევლინებოდნენ და პრეფექტების არა დანიშვნას, არამედ არჩევას მოითხოვდნენ" - განაცხადა ასათიანმა. მისი თქმით, ვინც არჩევნებს არ უჭერს მხარს, უხერხულ მდგომარეობაში აყენებს საკუთარ თავსაც და პრეზიდენტსაც, რადგან, მისი აზრით, დანიშვნა პირდაპირ კავშირშია კორუფციის გაძლიერებასთან. როგორც კავშირის ლიდერმა აღნიშნა, დღეისათვის ქონების განკერძოების პროცესი გაყალბებით მიმდინარეობს, რის გამოც მოსახლეობის მხოლოდ 5% მონაწილეობს პრივატიზაციის პროცესში. ა.ასათიანის თქმით, ადგილებზე არჩეული ხელისუფლება ამ საკითხს მოსახლეობის სასიკეთოდ გადაწყვეტს. მისივე თქმით, არჩევნებს დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის მოქალაქეობრივი თვითგამორკვევის თვალსაზრისით.

ა.ასათიანის განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ ცსკ საკითხს მათ სასარგებლოდ არ გადაწყვეტს და არ მისცემს რეფერენდუმის ჩატარებაზე ნებართვას, სარჩელს შეიტანენ უზენაეს სასამართლოში და შემდეგ კი ევროსაბჭოში. (იფრინდა)

# კითხვები, რომლებიც აუცილებლად საპასუხოა

დღევანდელი ჩვენი საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით ცნობილია მსოფლიოში მიმდინარე ყველა მოვლენა, იმის ჩათვლით, თუ ჰოლივუდის რომელმა ვარსკვლავმა რომელი ვარსკვლავი დააორსულა. ამიტომ შეიძლება დაუჯერებლად მოგეჩვენოთ იმის წაკითხვა, რომ თბილისიდან ხუთიოდე წუთის სავალზე ახალი ქალაქი შენდება.

ვისაც ამ ოციოდე წლის წინ უმგზავრია თბილისიდან რუსთავამდე მტკვრის მარცხენა სანაპიროთი, ახსოვს აზერბაიჯანული საშუალო ზომის სოფელი ყარაჯალა. ამ სოფლის შემდგომ რუსთავამდე იყო სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, ჭალები, საძოვრები... ამ ტერიტორიაზე თავის დროზე პრეტენზია ჰქონდა ქართულ სოფელ გამარჯვებას, რაც, რასაკვირველია, არ დაკმაყოფილდა, აგრეთვე სხვა ორგანიზაციებს, მათ შორის სატყეოს, კოლექტიურ მებაღეობას, კრწანისის ტყე-პარკს და სხვა. რესპუბლიკის მაშინდელი ხელმძღვანელობა ირწმუნებოდა, რომ აქ გაშენდებოდა ტყე-პარკი, იშრიალებდა ხეები, შეიქმნებოდა თბილისის „ფილტვები"...

მდგომარეობა სულ სხვაგვარად წარიმართა. დაიწყო აზერბაიჯანული მოსახლეობის მიერ ამ მინდვრების მიტაცება-განაშენიანება. დღეს-დღეობით ტერიტორია დაწყებული თბილისის საავიაციო ქარხნის აეროდრომიდან თითქმის რუსთავამდე ერთიან სამშენებლო მოედანს წარმოადგენს. მშენებლობის ტემპი მნახველზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს და აღძრავს უამრავ კითხვას: 1) ვინ და საიდან ჩამოსული ხალხი აშენებს ამ ქალაქს (ამ დასახლების სოფლად „მონათვლა" არაფრით აღარ შეიძლება)? 2) რა ჰქვია ამ ახალ ქალაქს (აღნიშნულ ტერიტორიაზე არ არსებობს არავითარი წარწერა, მით უმეტეს ქართულ ენაზე)? 3) როგორ ხდება, რომ ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის ეს ახალი ქალაქი მხოლოდ აზერბაიჯანელებით სახლდება? 4) ჩვენი სახელოვანი ხუროთმოძღვრები რატომ არ ჩადიან ახალ ქალაქში და არ შეისწავლიან მის არქიტექტურას (ახალი ქალაქის არქიტექტურა ნამდვილად დაამშვენებს ნებისმიერი ქალაქის პრესტიჟულ უბანს, ხოლო იქიდანვე ჩანს რუსთავის ყოვლად უსახური და უმახინჯესი საცხოვრებელი რაიონები)? 5) რატომ მიმდინარეობს მშენებლობა მინდორში და არა თბილისის, რუსთავის, ან თუნდაც მარნეულის პრესტიჟულ რაიონში (მიზეზი ხომ არ არის გაჩიანის ახალი, დიდი ბაზრობა, რომელიც ამოქმედებულ „აბრეშუმის გზაზე" გაიხსნა)? 6) რატომ ხდება თბილისის მიმდებარე და მისი მკვებავი ნაყოფიერი ველის განაშენიანება (ხშირად გვესმის ქვეყნის დემოკრატი ხელმძღვანელობისაგან, რომ მცირემიწიანი ქვეყანა ვართ და სავარგულებს გაფრთხილება სჭირდება)? 7) სად გაშენდება რესპუბლიკის ხელმძღვანელობისაგან უწინ და ახლაც დაპირებული მწვანე ზოლი, თბილისის „ფილტვები" და სხვა და სხვა.

***P.S.** ვისაც სურს ახალი ქალაქის მონახულება, მეტრო „სამგორიდან" გადის ავტობუსი №15 თბილისი-რუსთავი.*

**ნიკა შილდელი,**
**მურმან მაჩხანელი**

## საჭელეფონო საუბრების მოსმენა რუსულად

რუსეთის ფედერაციის გენერალურმა პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა უცხო პირების მიერ რუსეთის მთავრობის პირველი ვიცე-პრემიერის ბორის ნემცოვის სატელეფონო საუბრების უკანონოდ მოსმენის გამო.

როგორც ცნობილია, ბორის ნემცოვმა პროკურატურას სისხლის სამართლის საქმის აღძვრის თხოვნით მიმართა, იმასთან დაკავშირებით, რომ 4 აგვისტოს „ნოვაია გაზეტაში" მისი და ბიზნესმენ სერგეი ლისოვსკის სატელეფონო საუბრის სტენოგრაფიული ჩანაწერი გამოქვეყნდა. შემოწმებისას დადგინდა, რომ უცნობმა პირებმა რუსეთის კონსტიტუციის დარღვევით, სასამართლოს სანქციის გარეშე და თვით ბორის ნემცოვსა და სერგეი ლისოვსკისთან შეუთანხმებლად, სპეციალური აპარატურის გამოყენებით, ჩაიწერეს მათი სატელეფონო საუბარი, რითაც მათი პირადი საიდუმლოს უფლება დაარღვიეს. (გეა)

## რუსეთი ბჭობს, ჩეჩნეთი — იცინის

გუშინ ჟურნალისტებისთვის გამართულ ბრიფინგზე რუსეთის ფედერაციის მთავრობის აპარატის კულტურისა და ინფორმაციის დეპარტამენტის უფროსმა იგორ შაბდურასულოვმა განაცხადა, რომ ჩეჩნეთთან გამართულ მოლაპარაკებებზე რუსეთის მთავრობა ხელმძღვანელობს იმ პრინციპით, რომ ჩეჩნეთის რესპუბლიკა რუსეთის ფედერაციის სუბიექტია.

მისი თქმით, ამჟამად დაისახა გარკვეული პერსპექტივები მოლაპარაკებების პროცესში, მაგრამ როგორც ჩეჩნეთში, ასევე რუსეთშიც, არსებობენ პოლიტიკური ძალები, რომლებიც კონფლიქტის მოწესრიგებით არ არიან დაინტერესებულნი და ამ პროცესს ყოველნაირად უშლიან ხელს. რაც შეეხება ჩეჩნეთის ვიცე-პრეზიდენტის, ვახა არსანოვისა და საველე მეთაურის, სალმან რადუევის საჯარო ანტირუსულ გამოსვლებს, შაბდურასულოვმა აღნიშნა, რომ თავშეუკავებლობა მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური კულტურის არქონაზე მეტყველებს. (გეა)

## ახლა ჩეჩნეთი ბჭობს, რუსეთი — იცინის

ჩეჩნეთის ვიცე-პრეზიდენტის ვახა არსანოვის განცხადებით, რესპუბლიკის გენერალურმა პროკურატურამ რუსეთის ხელმძღვანელობის მიმართ ჩეჩენი ხალხის გენოციდის ფაქტთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის საქმე აღძრა და დამნაშავეები დაისჯებიან.

ასეთი კომენტარი გაუკეთა არსანოვმა რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ რუსეთის გენერალურმა პროკურატურამ ჩეჩნეთში შარიათის სასამართლოს გადაწყვეტილებით, ორი რუსი ოფიცრის სახალხოდ სიკვდილით დასჯასთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის საქმე აღძრა. (გეა)

## ბრძოლა გრძელდება

ავღანელ თალიბთა ლიდერის მოჰამად ომარის განცხადებით, თალიბთა ძალებმა ქალაქ მაზარი-შარიფში მიმავალი ყველა გზა გადაკეტეს, ხოლო სამთავრობო ჯარების ხელმძღვანელობას იარაღის დაყრა და ჩაბარება შესთავაზეს.

თალიბთა ხელმძღვანელობამ განკარგულება გასცა, შეეწყვიტათ ბრძოლები ყველა ფრონტზე, რათა ამჟამად ოპოზიციაში მყოფ ძალებს მაზარი-შარიფიდან უსაფრთხოდ გამოსვლისა და იარაღის ჩაბარების საშუალება მიეცეთ. (გეა)

# იმუშავეთ - მხოლოდ უფულოდ!

მეორე გვერდიდან

ლმძღვანელი თანამდებობას დაკარგავდა ან მკაცრ პარტიულ სასჯელს მიიღებდა.

მაღაროელებს მომარაგება გამორჩეული ჰქონდათ, კარაქი, შაქარი, ხორცი, თეთრი პური ყოველ კვირას დაბალ ფასებში ეძლეოდათ. მიუხედავად მძიმე შრომისა, ხალხი კმაყოფილი იყო თავისი ბედით.

ახლა კი, როცა ვითომ ეროვნული მთავრობა მოვიდა ქვეყანაში და ხალხს ეგონა, გავკეთდებით დედლებივითო, თავისი მუშაობის სტილი დაამკვიდრა ჩვენ ცხოვრებაში. სტილი მარტივია, გამუშავებს, მაგრამ ხელფასს არ გაძლევს. თავს იმით იმართლებენ, რომ ველური კაპიტალიზმია ახლა ჩვენში და ველურს მეტიც არ მოეკითხება. ალბათ გახსოვთ მარქსისტ-ლენინელები რომ გვიკითხავდნენ ლექციებზე, კომუნიზმში შრომა სახალისო იქნება და ფული გაქრება, როგორც უფუნქციო ერთეულიო. ისე აგისრულდა ყოველივე ნატვრა, როგორც ეს ნააზრევი აუსრულდა ხალხს. ფულის შოვნა მართლაც გაჭირდა. პენსიონრებს საარსებო მინიმუმის 10% აძლევენ, რაც შეეხება მუშას, თუ მას ექნება სამუშაო, რადგან წარმოებები განადგურებულია, საარსებო მოთხოვნილების ნახევარსაც არ აძლევენ. ასეა, შეგიძლია იმუშაო, მაგრამ ხელფასის აღება პრობლემაა. თვეობით ელოდება ხალხი ხელფასს, პენსიას. ამბობენ, მთავრობაში სახელმწიფოს უჭირს, ბიუჯეტში ფული არ შემოდის, მაფიოზები გადასახადს არ იხდიან, მალავენ. ასე რომ, მუშაკაცისთვის ქვეყანაში არავის სცალია, ადამიანთა უფლებები ან კონსტიტუციური ნორმები თუ ირღვევა, ჩინოვნიკებს სიცილადაც არ ჰყოფნით. თუ გინდა, სულიც გააფრთხე შიმშილით, ეს მთავრობას არ ადარდებს. მთავრობა, მადლობა ღმერთს, მაძღრად არის და ფეხზე დგას.

აი ასე გრძელდება დღეს ჭიათურელ მაღაროელთა მუშების ეპოპეა.

**მურთაზ აბაშიძე**



– რა ამბავია, ბაბაია, მთავრობაში, დადგა ფეხზე?

– მაგენი კი – მარა, ჩვენ, დედა გვიტირეს, ვიქცევით შიმშილით.

# მიხეილ გორბაჩოვი: მე და რაისა მაქსიმოვნა მეგობრებად ვრჩებით



## ვინ ემსახურება „ЦРУ“-ს?

*– თავს თავისუფლად თვლით თუ არა იმის გამო, რომ არ გეკისრებათ არავითარი პასუხისმგებლობა ყოველივე მომხდარის გამო?*

– ძნელია ყოველივე ამისაგან თავის განთავისუფლება. დღევანდელი რეჟიმი ადამიანების მოტყუებაზეა ბაზირებული. საშინაო, საგარეო თუ სხვა საჭირბოროტო საკითხებში ერთი ტყუილი მეორეს მოსდევს. შედეგად კი ირღვევა სახელმწიფო, ილახება ჩვენი საერთაშორისო ავტორიტეტი, რომელიც მრავალი თაობის მიერ არის შექმნილი! ხომ განიხილავენ ისეთ საკითხებსაც, რომელზედაც ადრე ფიქრიც არ შეიძლებოდა: რამდენად შეიძლება გაიყიდოს ციმბირი ან კამჩატკა. ვისთვისაა საიდუმლო, რომ ყოველთვის არსებობდა ხალხი, რომლებიც რუსეთის დასუსტებით იყვნენ დაინტერესებულნი.

*– ასეთ ბრალდებებს თქვენც ხომ გიყენებდნენ, მოჰყავდათ სხვადასხვა დოკუმენტები, ამბობდნენ, რომ აშშ-ს რეზიდენტი ხართ?*

– ამას ისინი ამბობდნენ, ვისაც არ უნდოდა რეფორმები. დღევანდელ რეჟიმს კი სულ სხვა სტრატეგია და სხვა მიზნები გააჩნია. მე ამას ვამბობ ობიექტურად – ეს რეჟიმი ვილაცისთვის ძალზე ხელსაყრელია. იგი უმცირესობის ინტერესებს გამოხატავს. მასთან თანხმობა დაუშვებელია. რუსეთში არსებობს ძალები, რომელთაც შეუძლიათ, რომ თავის თავზე აიღონ პასუხისმგებლობა და არა ველური კაპიტალიზმისაკენ წაიყვანონ ხალხი, არამედ – სოციალური სახელმწიფოსაკენ.

*– თქვენ ფიქრობთ, რომ ბევრს მოუნდება სოციალიზმისაკენ წასვლა?*

– ჩვენ ხომ მასში არც გვიცხოვრია! მე ვკითხე ჩემს პოლიტბიუროელ კოლეგებს: „...თუ ადამიანები მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, როგორ იშოვონ სარჩო, თქვენ რატომ თვლით, რომ ეს არის სოციალიზმი? როდესაც კაცი კოოპერატივს აარსებს, პროდუქციას უშვებს, ეს თქვენი აზრით, კერძო მესაკუთრის თავნებობაა?“ უნდა იყოს არჩევნების თავისუფლება, მრავალპარტიულობაც, რელიგიური სინდისის თავისუფლება... რა ძნელი იყო ყველაფერი ამის დაწყება და რა სწრაფად დაავიწყდათ ეს ყველაფერი!

*– მოსახლეობის 90% დაბადებულია საბჭოთა წყობილების დროს. არ შეიძლება ეს არ გაითვალისწინო, როდესაც რეფორმას იწყებ. განა ყოველი რეფორმატორისათვის ხალხი უნდა იცვლებოდეს? სწორედ ამიტომ ვთვლიდი, რომ რეფორმები თანდათანობით უნდა გაგვეტარებინა. გახსოვთ რა ხდებოდა, როდესაც პირველად გაისმა „კერძო საკუთრება“, „ინდივიდუალური საკუთრება“?*

## იუმორი მშველის

*– მიხეილ სერგეევიჩ, როგორ მოგწონთ სატელევიზიო პროგრამა „თოჯინები“?*

– ძალზე დაწერილმანდა: „ამან ეს იგრძნო...“, „ის იქიდან გაიქცა...“ მე ვხედავ, მათ რა აზრის გატარებაც უნდათ. „თოჯინების“ წლისთავზე ერთმა მათმა წარმომადგენელმა თქვა: „ბორის, ჩვენ შენ ბოლომდე დაგიცავთ“, – აი პასუხი. გორბაჩოვი კი აუცილებლად უარყოფითი სახით უნდა აჩვენონ. მე საკმაოდ დიდი იუმორის გრძნობა მაქვს. იგი მშველის კიდევაც.

*– ანუ ეს თქვენთვის არაფერს ნიშნავს, არა?*

– არა, ამის გაგება ჩემთან ოჯახშიც კი უჭირთ. მე ხშირად მეუბნებიან ხოლმე: „რატომ არ გააგზავნე ელცინი სადმე ელჩად?“ ან „რატომ არ დააპატიმრე?“ დიახ, მე შემეძლო გამეგზავნა იგი სადმე ბანანების რესპუბლიკაში. ჩვენ ციტრუსები არ გვყოფნიდა, ჰოდა, ეზრუნა ამ საკითხზე. რაც შეეხება დაპატიმრებას, ეს ჩემი კრედო არ არის.

*– მაგრამ სადღაც გულის სიღრმეში ხომ მაინც გრძნობდით, რომ თქვენი კონკურენტი იზრდება?*

– არასდროს, ეს სულ სხვა წყობის ადამიანია, სხვა მორალური თვისებებით, ვისთვისაც უმაღლესი მიზანია ძალაუფლების ფლობა. მას ნებისმიერი ბრძანების გაცემა შეუძლია, ოღონდ ხელისუფლება არ დაკარგოს. ნახეთ ერთი, რა ხალხი შემოიკრიბა ირგვლივ? რა დღეშია კრემლი? რა პრივილეგიები და აგარაკები დაარიგა? სწორად აღნიშნა ამ დღეებში პოლტორანინმა, რომ პოლიტბიუროს წევრების აგარაკები ახლანდელი ხელმძღვანელების სასახლეებთან შედარებით ფარდულებად გამოიყურებიან. აი, როგორია ჩვენი გმირი.

*– ამას წინათ კორჟაკოვმაც აღნიშნა თავის წიგნში, რომ თქვენი თვითმფრინავი საკმაოდ მოუწყობელი იყო, სასწრაფოდ დასჭირდათ მისი შეკეთება და თან გაოცებულნი ამბობდნენ: ნეტავ როგორ დაფრინავდა ამით გორბაჩოვი?*

– რას იზამ, თვითმფრინავისა და კაბინეტისათვის ხომ არ დამიწყია „პერესტროიკა?“

*– და მაინც, ხომ არ გიხარიათ გულის სიღრმეში: „აირჩიეთ ეგ კაცი, ჰოდა, ახლა ითმინეთ“-ო?*

– რა არის აქ სასიხარულო? მართალია, მატერიალურად ჩემი თავი უზრუნველყოფილი მყავს, ყველამ დამივიწყა მთავრობიდან, ყველამ არა, რა თქმა უნდა, სანახევროდ მაინც, მაგრამ ისეთი მაინც არაფერი მიჭირს. ერთადერთი მორალური განცდები მრჩება.

## ყველას თავისი ხუთწლედი აქვს

*– ცხოვრება ყველას გვასწავლის, მაგრამ ჩვენ მაინც არ გამოგვაქვს აქედან დასკვნები. თქვენ არ მოელოდით (თქვენს მიმართ) ამგვარ შედეგებს საპრეზიდენტო არჩევნებში?*

– ახლახანს ჩემთან იყო სტუმარი ორენბურგიდან და მითხრა, რომ 1996 წლის 17 ივნისს რადიოთი გადმოსცემდნენ არჩევნების წინასწარ შედეგებს და აღნიშნეს, რომ ყველაზე დიდი სენსაციაა, რომ გორბაჩოვმა მიიღო ხმების 6,7%. სადამოსათვის ეს გადაიქცა 0,67%-ად. ჩრჩნეთში ჩემმა ნდობით აღჭურვილმა პირმა შეიტანა პროტესტი არჩევნების შედეგების გაყალბების გამო. შემდეგ ამ ადამიანმა მოსკოვში დააპირა წასვლა პროტესტის გასაცხადებლად. მაგრამ მასთან მისულან უცნობი ადამიანები და ეს კაცი დღემდე არ ჩანს. მე მივმართე გენერალურ პროკურორს. იქიდან ფორმალური პასუხი მოვიდა: ისევე დაიკარგა, როგორც სხვები იკარგებიან.

*– მიხეილ სერგეევიჩ, თქვენი ვარსკვლავი მთელი ხუთწლედის განმავლობაში ენთო, თავისი „ხუთწლედი“ გაძლო ელცინმაც. იქნებ პოლიტიკოსისათვის ძნელია ამ დროის გასვლის შემდეგ ოლიმპზე დარჩენა? რაც არ უნდა იყოს, ისინი ძირითადად ხომ მაინც უბრალო ადამიანები არიან, რომელთაც ბევრი ადამიანური სისუსტე ახასიათებთ?*

– თუ საქმე ეხება ქვეყნის ცხოვრების გარდაქმნას, მაშინ უნდა არსებობდნენ ადამიანები, რომლებიც ყველა დარტყმას აიტანდნენ. იმ ექვს წელში (ერთ წელს მაინც ხაზი გაუსვა) მე რამდენიმე ცხოვრება გადავიტანე. ისტორიამ გვიჩვენა: ბედნიერი რეფორმატორები არ არსებობენ.

*– მიუხედავად თქვენსა და ელცინს შორის დიდი სხვაობისა, რაღაცა მაინც არის თქვენში საერთო. თქვენ ორივე ცდილობთ თქვენს გარშემო იყოლიოთ არცთუ კომპეტენტური ხალხი, ხშირად ცვლით თქვენს გუნდს, გიყვართ კონკურენტებთან ანგარიშის გასწორება, ყოველთვის ნაწყენი ხართ ხალხზე. თქვენ გღალატობთ უახლოესი მცველებიც კი, თქვენ – მედვედევი, ელცინს – კორჟაკოვი, საბედისწერო როლს თამაშობდნენ ქალები. საბოლოოდ თქვენ ძალზე იოლი ლუკმა გამოდექით კრიტიკისათვის.*

– თქვენი ანალოგია ზედაპირულია. მე და ელცინს სულ საწინააღმდეგო ბუნება გვაქვს – ჩვენი მორალური და პოლიტიკური შეხედულებების ჩათვლით. რაც შეეხება გამცემლობას, აიღეთ ორივე ისტორია და გაანალიზეთ: ღალატი ყოველთვის იყო და ყოველთვის ახლობლები გასცემდნენ. არც ჩემს ქალიშვილს, არც რაისა მაქსიმოვნას არასდროს არ ჩაუყვიათ ცხვირი პოლიტიკურ საკითხებში (?!)

## ანგელოზი, სახელად რაისა

*– რა თქმა უნდა, ეს არ არის სუსტი ნერვების პატრონისათვის განკუთვნილი სვლა, მაგრამ შეგიძლიათ თუ არა დაუშვათ, რომ თქვენმა მეუღლემ (როგორც ელცინის ქალიშვილმა) თავს უფლება მისცეს თქვენი მრჩეველი გახდეს?*

– რატომ, განა ისედაც ნათელი არ არის, რომ მეუღლე უფრო მეტია, ვიდრე მრჩეველი?

*– მაგრამ მისი თქვენს გვერდით ყოფნის შესახებ რეაქციამ ბევრი დააკლო თქვენს პოლიტიკურ კარიერას. გახსოვთ, როგორი რეაქცია ჰქონდა ხალხს რაისა მაქსიმოვნას გამო? როგორ ფიქრობთ, რატომ?*

– ნაწილობრივ ჩვენ ჯერ კიდევ არქაული ქვეყანა ვართ და საინტერესო ქალის გამოჩენა პოლიტიკოსებს შორის ნონსენსს იწვევდა. როდესაც გენერალური მდივანი გავხდი, მაშინვე გადავწყვიტე: ჩემი და რაისას ურთიერთობები ამით არ უნდა შეცვლილიყო. ჩვენ ერთმანეთთან ახლოს ვიყავით არა მარტო როგორც ქალი და მამაკაცი, არამედ ახლაც და იმ დროსაც ვიყავით და ვრჩებით მეგობრებად. ჩვენთვის არ არსებობს თემები, რომლებზედაც ბჭობა აკრძალულია, გარდა ისეთებისა, რომელიც მას არ აინტერესებს და რომელიც მან არ უნდა იცოდეს. მოგზაურობის დროს მე ოფიციალურ პირებთან მიხდებოდა ყოფნა, ის კი უბრალო ხალხთან უფრო ამჯობინებდა ურთიერთობას. შემდეგ ბევრ საინტერესო რამეს მიყვებოდა ხოლმე. ეს ჩემთვის საჭირო ინფორმაციის არხი გახლდათ.

*– თქვენ გჯერათ თქვენი მფარველი ანგელოზისა, რომ თქვენ ვიღაცა გიცავთ, გაფრთხილებთ? ჰოროსკოპით თქვენ თევზი ხართ, ამ ნიშანს დიდი ინტუიცია ახასიათებს.*

– ამას წინათ ერთმა ძალზე ცნობილმა ქალმა თქვა (მე და რაისა მაქსიმოვნა ერთად ვიყავით): „მომისმინეთ პრეზიდენტო! თქვენს გვერდით – თქვენი ანგელოზია“. მე ვაფასებ იუმორს. ამიტომ ვუპასუხე: „მაშ ვინ უნდა იყოს წინასწარმეტყველის გვერდით!“.

*– საზოგადოება იღლება ხოლმე აგრესიისაგან, უგულობისა და ჯიუტობისაგან, რომელიც მამაკაცი პოლიტიკოსებისაგან მომდინარეობს. რა იქნებოდა, ქვეყანას ქალი რომ მართავდეს?*

– დიახ, ჩვენი პოლიტიკა ცინიკურია იმიტომ, რომ მასში ქალები იშვიათად მონაწილეობენ.

*– მაგრამ არც თქვენ ანებივრებდით პოლიტიკაში ქალებს!*

– აქტიური ქალი ბევრია, მაგრამ განა ყველა პოლიტიკაში უნდა იყოს? არა. ქალები ისედაც საკმარისად ამჟღავნებენ თავს. მათი გეგმები გულიდან ამოდის და არა კონიუნქტურიდან.

*– რა გასწავლათ თქვენმა ცხოვრებამ?*

– მთავარია საკუთარ თავს არ უღალატო. და კიდევ: ყოველთვის სინდისის კარნახით უნდა იმოქმედო.

„არგუმენტი ი ფაქტის“
მიხედვით მოამზადა
პ.მანძულაშვილმა

---

## საზღვარგარეთი

### ოსებს იტაცებენ

ბუშინ მოზდოკის რაიონის ერთ-ერთ სოფელში ექვსმა შეიარაღებულმა პირმა მძევლად აიყვანა ოთხი ადგილობრივი მცხოვრები. თვითმხილველთა განცხადებით, გამტაცებლებმა მძევლები ავტომანქანებში ჩასვეს და ინგუშეთის მიმართულებით წაიყვანეს.

ჩრდილოეთ ოსეთის სამართალდამცავმა ორგანოებმა ადამიანთა გატაცების ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე აღძრეს. მძევალთა ადგილსამყოფელი ჯერჯერობით უცნობია. ვარაუდობენ, რომ გამტაცებლები მძევლების გასათავისუფლებლად გამოსასყიდს მოითხოვენ. (გეა)

### თურქეთის პრემიერ-მინისტრი დროს არ კარგავს

ყაზახეთის დედაქალაქ ალმა-ათას ოფიციალური ვიზიტით ეწვევა თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი მესუთ ილმაზი. ყაზახეთში ვიზიტის დროს თურქეთის ლიდერს ქვეყნის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებების ჩატარება და რამდენიმე მნიშვნელოვანი სახელმწიფოთაშორისო დოკუმენტის ხელმოწერა აქვს დაგეგმილი.

ალმა-ათაში ყოფნისას პრემიერი ილმაზი ყაზახეთის უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებსა და სამრეწველო საწარმოებსაც მოინახულებს, შეხვდება თურქული დიასპორის წარმომადგენლებს და ადგილობრივ ბიზნესმენებს. (გეა)

### აშშ ისრაელის ინტერესებს ყოველთვის გაითვალისწინებს

ახლო აღმოსავლეთის რეგიონში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მადლენ ოლბრაიტის სამუშაო ვიზიტი დაიწყება. სახელმწიფო მდივანს დაგეგმილი აქვს შეხვედრები ისრაელის, პალესტინის, იორდანიის, სირიისა და ეგვიპტის ხელმძღვანელობასთან.

მოლაპარაკებებზე ახლო აღმოსავლეთში სამშვიდობო პროცესების წარმართვის საკითხებს განიხილავენ. მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ პალესტინის ავტონომიის ხელმძღვანელობა ოლბრაიტის ვიზიტს ენთუზიაზმით არ შეხვედრია, რადგან, როგორც პალესტინელებს მიაჩნიათ, აშშ-ის სახელმწიფო მდივანი მხოლოდ ისრაელის ინტერესებში მოქმედებს. „თეთრი სახლის“ პრესმდივნის მაიკ მაკკერის განცხადებით, ახლო აღმოსავლეთში ოლბრაიტის ვიზიტის ძირითადი მიზანია, პალესტინასა და ისრაელს შორის ნდობის ფაქტორის აღდგენა. მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ მხარეებს შორის ურთიერთობები ამჟამად ძალზედ დაძაბულია, ოლბრაიტი შეეცდება, რომ პალესტინა-ისრაელის სამშვიდობო დიალოგი პერსპექტიული გახადოს. (გეა)

### ახალი „ატლანტიკი“?

პარიზის ზღვაში კუნძულ ჰაიტისთან კატასტროფა განიცადა სამგზავრო ბორანმა, რომელსაც ასეულობით ადამიანი გადაჰყავდა. წინასწარი მონაცემებით, კატასტროფის შედეგად 400-მდე ადამიანი დაიღუპა.

ჰაიტის სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა განცხადებით, ბორანი მაშინ გადატრიალდა, როდესაც ნაპირიდან 80 მეტრის დაშორებით იმყოფებოდა და მგზავრები ჩასასვლელად იყვნენ მომზადებული. (გეა)

# იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ რამე...

## ბინები

იყიდება 2 ოთახიანი არასტანდარტული ბინა რუსთაველზე. ფასი 60000 დოლარი. ტელ. 98–66–49

ვყიდი სასწრაფოდ ოთახნახევრიან სუფთა ბინას ბუდაპეშტის ქუჩაზე მაღალ ბელეტაჟზე. აივნითა და ტელეფონით. ფასი 15000$ ტელ. 60–87–47

იყიდება 3 ოთახიანი ბინა საბურთალოზე რვასართულიანის მე–7 სართულზე. ნუცუბიძის ქ211 კ.4. ბ.19. ფასი 17000$

იყიდება 1 ოთახიანი იზოლირებული ბინა მეტრო „სამგორთან", ნავთლუღის ბაზრის მხარეს. II სართული. ტელეფონით, სარდაფით, ტელ. 63–22–48

იყიდება კეთილმოწყობილი საკუთარი სახლი ბელეტაჟზე ორთაჭალაში, საცხოვრებელი ფართი 80 კვმ აქვს იზოლირებული საკუთარი ეზო, ავტოფარეხი, ტელეფონი და დიდი სარდაფი. ფასი 32000 დოლარი. ტელ. 72–26–31

იყიდება 4 ოთახიანი ახალი გარემონტებული ბინა ვაკეში კავსაძის ქუჩაზე. საერთო ფართი 140 კვმ 6 სართულიანის მე–5 სართულზე. სარდაფით და მანქანის გასაჩერებელი ადგილით. ფასი 60000$ ტელ. 61–79–12 საღამოს საათებში. რეზო

იყიდება სოფელ შინდისში სამსართულიანი სააგარაკე სახლი. დასამთავრებელია მშენებლობა 600 კვხეხილიანი ეზოთი, ან იცვლება ერთ ან ოროთახიან ბინაზე თბილისში. ფასი შეთანხმებით. ტელ. 34–46–11

ვყიდი ოროთახიან იზოლირებულ 53 კვმ ფართის ბინას შვიდსართულიანი სახლის მეორე სართულზე ტელეფონით ქბორჯომში, ან ვცვლი ქთბილისში ერთოთახიან ბინაზე ფულის დამატებით დარეკეთ 96–28–41 იკითხეთ ლიკა

იყიდება არატიპიური ერთოთახიანი ბინა ლოჯით, ვაკეში, მრგვალ ბაღთან მიმატებულია ოთახი სულ 60–კვმ დიდი სამზარეულოთი და აივნით. ტელ. 29–11–44

იყიდება კერძო სახლის 1/4 საბურთალოზე, მეტრო „სამედიცინო ინსტიტუტთან". ტელ. 37–27–01

იყიდება 3 ოთახიანი ჩეხური პროექტის სუფთა ბინა 9–ნის მე–4 სართულზე. რკინის კარით, ნუცუბიძით მე–4 მ/რნი. ტელ. 92–32–49 თინიკო ფასი 16000$

ვყიდი 2 ოთახიან (გადაკეთებულ სამად) ბინას, ნუცუბიძის III კვ 9 სართულიანი სახლის მე–8 სართულზე სანტექნიკა გამოცვლილია, აქვს რკინის კარები, ტელეფონი. არის ბუნებრივი ცხელი წყალი. ტელ. 32–96–26

ვყიდი 3 ოთახიან ბინას დიდ დიღომში პეტრიწის ქუჩაზე კარგად გარემონტებული, კაპიტალური ავტოსადგომით, ტელეფონით 9 სართულიანი სახლის პირველ სართულზე (მაღალი ბელეტაჟი), წინა პატარა ბაღით. ფასი 18000 დოლარი ტელ. 62–31–28

იყიდება დუშეთის რაიონის სოფელ ჭოპორტში ორსართულიანი დაუმთავრებელი სახლი 1000 კვმ მიწის ნაკვეთი, მსხმოიარე ყველა სახის ხეხილით, ვენახითა და ტალავერით ან იცვლება ერთ ან ოროთახიან ბინაზე თბილისში. ფასი შეთანხმებით. ტელ. 34–46–11 პავლე ან ლია

## სხვადასხვა

ვაკეთებ ბუხარს, საუნას. ფასი შეთანხმებით. ტელ. 35–14–55 (საღამოს 9 სთ–ის შემდეგ). იკითხეთ თამაზი

იყიდება ასაწყობი 3 ოთახიანი ფინური სახლი. ციმბირული, რუსეთის. ფასი 3000$ ტელ. 95–30–47

ვეძებ მასწავლებელს მეტყველებაში დარღვევების მქონე ბავშვებისათვის. ტელ. 93–67–54 დოდო

იყიდება სამედიცინო სავარძელი სტომატოლოგების ან კოსმეტოლოგების და ბინოკულარული ლუპა. ფასი შეთანხმებით. ტელ. 33–15–84

იყიდება კეთილმოწყობილი მაღაზია თავისი ინვენტარით. ფართი 200 კვ.მ, აქვს საწყობი ლიფტით. ფართი 250 კვ.მ, ფასი 35000 დოლარი. ტელ. 72–26–31

ვაქვეყნებთ უფასო განცხადებებს
დაგვირეკეთ:
93–18–41

იყიდება რუმინული სამზარეულო – ფასი 1200 დოლარი, იაპონური ტელევიზორი „პანასონიკი„ 72 დიაგონალი ფასი 1600 დოლარი, იაპონური ვიდეომაგნიტოფონი ფასი 500 დოლარი. ამერიკული მობილური ტელეფონი „მოტოროლა" კომპიუტერით, აქვს დამატებით ორი ბატარეა – ფასი 1200 დოლარი. კონდინციონერი ფასი 150 დოლარი, ტელევიზორი „იუნოსტი" 406 დეციმეტრი, შავთეთრი, ფასი 150 დოლარი; ფეხით საკერავი მანქანა „პოდოლსკი" – ფასი 150 დოლარი, წყლის გამაცხელებელი ატმორი ისრაელის გამოშვება – ფასი 100 დოლარი. ტრანზისტორი „ოკეანე" მუშაობს ელემენტებზე და 220 ვოლტზე – ფასი 60 დოლარი. ტელ. 72–26–31

## ქირავდება

ქირავდება 3 ოთახიანი ბინა ნახევრად სარდაფი, ტელეფონით. საჭირო ავეჯით. ფასი 100$ ტელ. 23–27–85

ქირავდება 2 ოთახიანი კარგად გარემონტებული ბინა ოფისისათვის. I სართულზე. ტელეფონით, ფაქსით, საოფისე ავეჯით. სველი წერტილებით. ტელ. 98–75–47 მედეა

ვაქირავებ ბინას უცხოელებზე. სახლი კეთილმოწყობილია, შიდა ხის რიკულიანი კიბით. უცხოური ავეჯით, ტელეფონით, ავტოფარეხით, ღია და დახურული აივნებით. ინდივიდუალური გათბობითა და კონდიციონერით. დეკორატიული ბაღ–აუზებით. ყველა საჭირო სამეურნეო და საყოფაცხოვრებო სათავსოებით. შესაძლებელია მომსახურებაც. ი.გამრეკელის ქ.№37 ტელ. 32–91–69

## მოვუვლი

მოვუვლი ნებისმიერი ასაკის ბავშვს. ტელ. 60–68–39

## ვამზადებ

ვასწავლი რუსულ ენასა და ლიტერატურას. მაქვს სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობის 20 წლიანი სტაჟი. ტელ. 95–54–06

ვამზადებ მოსწავლეებს და აბიტურიენტებს ინგლისურ ენაში, ბინაზე მისვლით ან შინ მიღებით. ტელ. 67–31–88 ეთერი

ვამზადებ მოსწავლეებს გერმანულ ენაში ბინაზე მისვლით. ფასი თვეში 25 ლარი (კვირაში სამჯერ) ტელ. 98–65–79

ვამზადებ აბიტურიენტებს და ასპირანტურაში შემსვლელებს ინგლისურ ენაში. ვთარგმნი ნებისმიერი სახის მასალას. ტელ. 38–18–84

ვამზადებ ბავშვებს როგორც სახლში მისვლით, ასევე ბინაზე, შევასწავლი ფორტეპიანოს და საესტრადო სიმღერებს. ფასი შეღავათიანია. ტელ. 35–01–86 თეა, ნონა

**აბიტურიენტთა მომზადება ყველაზე იაფად!**

*კურსებზე ისწავლება:*

უცხოური ენა (კვირაში 4–ჯერ),
ქართული ენა და ლიტერატურა (3–ჯერ),
ისტორია (2–ჯერ).

მისამართი: ბროსეს ქ.№3 ტელ. 98–65–79

რეკლამა ჩვენთან



თქვენი საქმიანობის
წარმატების საწინდარია!
დაგვირეკეთ
93–18–41
საქართველო

# პავლიკ მოროზოვი პიონერის ყელსახვევით დაუხრჩვიათ

*დღეს ღირსშესანიშნავი დღეა: 65 წელია, რაც აღარა გვყავს ადამიანი, ვის მაგალითზედაც საბჭოთა ხელისუფლება შვილებს მშობლების დასმენას ასწავლიდა.*



**დასაფიქრებლად — სტრიქონები დოკუმენტიდან:**

მ.კოროტკოვი და გ.კრასნოშჩეკოვი – სსრკ სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს ვ.მ.მოლოტოვს.

1937 წ. 1 აგვისტო

ვიაჩესლავ მიხეილის ძევ!

ამა წლის სექტემბერში სრულდება პიონერ პავლიკ მოროზოვის მკვლელობიდან ხუთი წელი.

პავლე მოროზოვი საბჭოთა ბავშვების საყვარელი გმირი გახდა. ისინი მის მაგალითზე საკუთარ ბუნებაში ანვითარებენ ხალხის მტრებისადმი სიძულვილს, სამშობლოს, ლენინისა და სტალინის საქმისადმი სიყვარულს.

ამგორკისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინადადებით სსრკ სახკომსაბჭომ პ.მოროზოვს ძეგლი დაუდგა მოსკოვში. მოსკოვის საბჭომ ძეგლისათვის წითელი მოედანი შეარჩია.

კონკურსი ცუდი ორგანიზაციის გამო ჩაიშალა და გამოცხადდა ახალი. მაგრამ, როგორც ჩანს, ამ უკანასკნელსაც იგივე ბედი ეწევა. ძეგლის დადგმის საქმეში ასეთი საბოტაჟი ბადებს ეჭვს, ხომ არ არის ეს ხალხის მტრების ნამოქმედარი?

მოგესალმებით: მ.კოროტკოვი
გ.კრასნოშჩეკოვი

## მაინც რისგან მოკვდა პავლიკ მოროზოვი?

ეს მოხდა ტყეში, შორეულ სოფელში, რომელსაც ერქვა გერასიმოვკა, ურალის მხარეში. პავლიკ მოროზოვი 11–15 წლისა უნდა ყოფილიყო. მან დაწერა მამხილებელი წერილი, სადაც თავის მამას კულაკებისადმი მხარდაჭერა დასწამა (საბჭოთა რუსეთში კულაკებს ეძახდნენ იმათ, ვინც კარგად მუშაობდა და საკმარისი შემოსავალი ჰქონდა).

მკვლელები სასამართლოს განაჩენის საფუძველზე დახვრიტეს. თუმცა, ამ ოფიციალურ ვერსიას ეწინააღმდეგება ჟურნალისტ ი.დრუჟნიკოვის აზრი. მან დაწვრილებით შეისწავლა ყველა გარემოება და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მითოლოგიზირებულია წმინდა წყლის საყოფაცხოვრებო ხასიათის მკვლელობა: ბიჭის მამა სხვა ქალთან წავიდა, ხოლო დედამ დაიყოლია შვილი შეეშინებინათ მამა. და მოხდა გაუთვალისწინებელი შემთხვევა.

## როგორ აფასებენ დღევანდელი მოსწავლეები პავლიკ მოროზოვის საქციელს?

– ბავშვებო, ვინ იცნობს პავლე მოროზოვს? კითხვა, ვგრძნობ, უადგილო გამომივიდა. მხოლოდ ერთმა, 17 წლისამ თქვა:

– მოღალატე იყო, ჩვენიანები გაყიდა.

– შენ ეს სად გაიგონე?

– ჩემმა უფროსმა ძმამ მითხრა. გაკვეთილზე ასე თქვეს.

რას ვერჩით ჩვენს ახალგაზრდებს, სიმართლე თვით ენციკლოპედიაშიც კი არ წერია, რომელიც ამტკიცებს, რომ „პავლიკ მოროზოვი იყო პიონერული რაზმის თავმჯდომარე". სად იყო მაშინ მიყრუებულ გერასი მოვკაში პიონერი, ისევე როგორც კოლმეურნეობა, სხვათა შორის.

ერთ-ერთ სკოლაში გოგონების გამოკითხვამ ასპროცენტიანი უარყოფითი შედეგი მოიტანა. ბიჭები კიდევ იძლევიან იმედს. თუმცა მეათეკლასელებზე ქვემოთ ამ საკითხზე გაგებაში არავინ არის.

მერვეკლასელმა ალექსეიმ უფრო ახლოს „გაარტყა":

– ის იყო გმირი – კომუნისტი. რევოლუციონერებს მოუყვა, რომ მამამისი პურს მალავდა.

– კომუნისტი? განა პიონერი არ იყო?

– პიონერი?.. ეს იგივე პატარა კომუნისტია!

ბოლოთქმის მაგიერ. წელს ბოლო თაობა დაამთავრებს სკოლას, ვინც პიონერობა მოასწრო და საბედნიეროდ, უკვე დაივიწყეს ამის შესახებ. დღევანდელ პირველკლასელებს უკვე აღარავინ ჩაუტენავს თავში საკუთარი მამის „ჩაშვების" იდეას. ახალი ცხოვრებით ვიწყებთ ცხოვრებას.

## ჩვენნაირი თვითმფრინავები არავის ექოლება

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ახალი სამხედრო თვითმფრინავის გამოცდას აპირებს, თქვა პარლამენტის ბიუროს დღევანდელ გაფართოებულ სხდომაზე თავდაცვის მინისტრმა ვარდიკო ნადიბაიძემ. მინისტრის თქმით, მსგავსი თვითმფრინავი არც ერთ სახელმწიფოს არ ჰყავს.

სავარაუდოდ, თვითმფრინავების გამოშვებას თბილისის საავიაციო გაერთიანება აპირებს, რომელიც ადრე CE-25-ის ტიპის მოიერიშეებს აწარმოებდა. ნადიბაიძის ინფორმაციით, „ეს საავიაციო ქარხანა იგივე რეჟიმში მუშაობს, როგორშიც დიდი სამამულო ომის დროს – 1941–45 წლებში".

„ამ მოდელის თვითმფრინავებს დიდ ფართობზე შეუძლიათ შეტევის განხორციელება და მათი შეძენით უკვე დაინტერესდა უკრაინა" – თქვა ნადიბაიძემ და დაამატა, რომ სექტემბრის ბოლომდე მეცნიერებთან ერთობლივად მოეწყობა თვითმფრინავების პირველი გამოცდა.

ბიუროს სხდომაზე ნადიბაიძემ ასევე განაცხადა, რომ სექტემბრის ბოლოს თავდაცვის სამინისტრო ფართომასშტაბიან სამხედრო სწავლებებს მოაწყობს. მასში პირველად მიიღებს მონაწილეობას საქართველოს სამხედრო-საზღვაო ფლოტი. სწავლებების დროს გემიდან 1000 კაციანი დესანტის გადმოსხმა მოეწყობა. (პრაიმ-ნიუსი)

## იბრძოლებენ ხელისუფლებისაგან განწირული ხალხის დასაცავად

სრულიად საქართველოს ზვიად განმათავისუფლებლის პარტიის ლიდერმა ლეილა ცომაიამ განაცხადა, რომ ამიერიდან ქვეყნის პოლიტიკურ საკითხებთან ერთად, იბრძოლებს ხელისუფლებისაგან განწირული საკუთარი ხალხის სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების დასაცავად.

ამ მიზნით, 13 სექტემბერს, 14 სთ-ზე, მერაბ კოსტავას ეზოში საზოგადოებას დაგეგმილი აქვს მიტინგის ჩატარება, რომელზეც საუბარი იქნება ელექტროენერგიის, პურის ფასების, უმუშევრობის, პენსიების, შემნახველ სალაროებსა და ბანკებში მოქალაქეთა ანაბრების შესახებ. (იფრინდა)

## ბორჯომში მდგომარეობა კვლავაც არადამაკმაყოფილებელია

ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში გუშინ გამართულ ტრადიციულ პრესის დღეზე სანიტარული ზედამხედველობის სამსახურის მესვეურებმა განაცხადეს, რომ ბორჯომში მდგომარეობა ჯერჯერობით არადამაკმაყოფილებელია. ბაქტერიოლოგიური მონაცემების თვალსაზრისით, სასმელი წყალი სახელმწიფო სტანდარტებს ჯერჯერ ვერ აკმაყოფილებს. ამ ეტაპზე მიმდინარეობს სასმელი წლის თხევადი ქლორით გაფილტვრა. ინფექციის ახალი შემთხვევები ჯერჯერობით არ დაფიქსირებულა. (იფრინდა)

# სასამართლო

# „ჯაბა იოსელიანმა დაუმატა"...

*საქართველოს უზენაეს სასამართლოში გუშინ განახლდა სასამართლო პროცესი შეიარაღებული დაჯგუფება „მხედრიონის" უფროსის მოადგილის დოდო გუგეშაშვილისა და ამ ფორმირების კიდევ 13 წევრის საქმეზე.*

ჯაბა იოსელიანის პირველი მოადგილის დოდო გუგეშაშვილის, ზუგდიდის ყოფილი კომენდანტის, რუსთავის „მხედრიონის" ყოფილი უფროსის ზაზა პაიჭაძის, თბილისის „მხედრიონის" ყოფილი უფროსის დათო წერეთლის – მეტსახელად „ვამპირი", გურჯაანის „მხედრიონის" ყოფილი უფროსის ვაჟა ქრისტესაშვილისა და „მხედრიონის" კიდევ 10 წევრის საქმეზე სასამართლო პროცესი მიმდინარე წლის ივნისში დაიწყო ქუთაისში. მათ ბრალი ედებათ ყაჩაღობასა და ქურდობაში, რასაც 1993 წელს ჰქონდა ადგილი ზუგდიდში.

მოსამართლე ლენგორ ბოჭორიშვილის გადაწყვეტილებით პროცესი ქუთაისიდან თბილისში გადაიტანეს იმის გამო, რომ მოწმეებად უნდა დაიკითხონ საქართველოს შინაგანი ჯარების ყოფილი უფროსი გელა ლანჩავა, კავშირგაბმულობისა და ფოსტის მინისტრი ფრიდონ ინჯია, საპარლამენტო ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის" თავმჯდომარე გიორგი ბარამიძე და სხვები.

გუშინდელ პროცესზე მოწმედ მიწვეული იყო საქართველოს შსს-ის პრესცენტრის უფროსი ვალერიან გოგოლაშვილი, რომელიც 1993 წლის 6 ნოემბერს ხობში გამართულ ოპერატიულ თათბირს ესწრებოდა. ამ თათბირზე გადაწყდა ზუგდიდში სამთავრობო ჯარების შეყვანის საკითხი.

„კრებამ მიიღო გადაწყვეტილება ზუგდიდში სამთავრობო ჯარების 7 ნოემბრის დილის 7 საათზე შეყვანის შესახებ – თქვა გოგოლაშვილმა სასამართლოზე – თუმცა ჯარები რამდენიმე საათის დაგვიანებით შევიდნენ. სამთავრობო ჯარებს ადგილობრივი მოსახლეობა დახვდა, რომელიც ირწმუნებოდა მათი სახლების გაძარცვის შესახებ".

გოგოლაშვილის თქმით, ხობის თათბირზე ჯაბა იოსელიანმა ზუგდიდის კომენდანტის თანამდებობაზე რუსთავის „მხედრიონის" უფროსის ზაზა პაიჭაძის კანდიდატურა დაასახელა.

„ჯაბა იოსელიანმა დაუმატა – „ამ თანამდებობისათვის – ერთი მერსედესი შენზეაო" – თქვა ვალიკო გოგოლაშვილმა.

ამასთანავე, გოგოლაშვილმა აღნიშნა, რომ მას არც არაფერი სმენია და არც უნახავს ზუგდიდში დოდო გუგეშაშვილი.

პრაიმ-ნიუსთან საუბარში გოგოლაშვილმა თქვა, რომ „სასამართლოს წინაშე ისინი უნდა წარსდგნენ, ვინც გასასჯელები მოროდიორობისა და ქურდობის გზაზე დააყენა". (პრაიმ-ნიუსი)

# კროსვორდი



მიყრდნობილად: 1. „ბოხხმიანების" აჯანყება; 2. საინფორმაციო გამოშვება, რომელიც „გამაგებინეო გეუბნება"; 3. „ბულას და ლამას" კერძი; 4. როგორია შავი კატის „არსი?"; 5. ის, რაც ზოგჯერ მარგებელია; 7. მანქანის წინა ფასადი, რომელზეც წვიმა "კაპკაპით დაედინება"; 12. „ქარში" განავარდებული ჩხიკვი (მულტ.); 14. მდინარე „ნევაზე" სისხლის ავარდნა თავში; 15. „ლიკას მეორე მუსიკალურ ნოტთან" შეპასუხება; 17. საზამთროს ყელიანი ბათინკები, რომელსაც სომეხი უარყოფს „არაო" (სომხ.კავშ.); 18. ს.„სატირელი" ლიტერატურული ჟანრი; 20. პატარა საბუთი, რომელსაც მხოლოდ „ონში და ტალინში" უშვებენ; 22. „ზურას" გურიაში გასაქცევი ქალაქი; 23. „მაიას დამთანხმებელი" ფირმა; 25. „ანას სახელის დამბრალებელი" გინეკოლოგი; 27. „კავშირიანი" გამყიდველი; 28. „დიდი უბეების მქონე" წუმპე; 29. „თბილისელი ტოების პლაშჩაცმული" საჭმელი „გუფთა".

მიწოლილად: 6. „ბაქემოსხმული" ლამფის საფარი; 8. მატყლისგან „დაბადებული" მოსახამი; 9. „კანგაცლილი" კაციჭამია, რომელიც „ბალსაც გემრიელად მიირთმევს"; 10. „კახას ხეების სიმრავლით" განთქმული კუთხე საქართველოში; 11. „ორი" ლეში; 13. კ) „კოწიას გასახურებელი" კამფეტი; 16. ცხენის „გასაჩუმებელი" და გასაქცევი სიტყვა; 19. „ბაქანზე გაჩითული" ტრაბახა „ია"; 21. „ემას და გოგიას" ფარისევლობით ფაქტების დამახინჯება; 23. ეს ქალი შუფუტინსკისთვის საყვარელიც არის, რძალიც და ცოლიც (სიმღ.); 24. „უზრდელი" ხამსა; 26. „რიჟა" ალიონი; 30. „აბების განზე მყლაპველი" ქურდი; 31. აჯამი „ბილი"; 32. „ჭეშმარიტი" პროგნოზი; 33. „ფერიების" ნაირსახეობა; 34. „ბანზე მდგარი" გოიმი (ჟარგ.).

**კობა ბაიდოშვილი**

## წინა ნომრის პასუხები

მწოლიარედ: 1. მოდინახე; 5. სტამბული; 9. ლავა; 10. ოკა; 11. აბრა; 12. ბოთლი; 13. ოსტრი; 14. ანი; 16. რკო; 19. კახეთი; 20. გეიმრა; 23. ანა; 26. ირა; 28. ორერა; 29. იფანი; 32. აკრი; 33. უბე; 34. გირა; 35. ალიაქოთი; 36. ანალგინი.

მდგომიარედ: 1. მალინა; 2. დევი; 3. ალგეთი; 4. ეროტიკა; 5. სტალონე; 6. ასორტი; 7. უშბა; 8. იყალთო; 15. იახტა; 16. რომბი; 17. ათი; 18. ავი; 21. ორაგული; 22. ოლივერა; 23. ანკარა; 24. მელანო; 25. ჰავანა; 27. აკვანი; 30. არდი; 31. ბინი.

## წამებისათვის, რომელსაც ხშირად სიკვდილი ჯობია, მხოლოდ ოთხი წელი

ყოფილი პოლიციელის, გელა კავთელიშვილის მიმართ ქალაქის სასამართლოს განაჩენი, რომელიც მის მიმართ 4 წლით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, უზენაესმა სასამართლო კოლეგიამ ძალაში დატოვა. გელა კავთელიშვილის მიმდინარე წლის 20 მაისს ლია ჭოველიძის მკვლელობაში სამი ეჭვმიტანილის წამებისათვის გაასამართლეს. განაჩენი გააპროტესტა როგორც მსჯავრდებულმა კავთელიშვილმა, ასევე დაზარალებულებმა, მკვლელობაში ყოფილმა ეჭვმიტანილებმა.

საკასაციო კოლეგიამ ქალაქის სასამართლოს განაჩენი კანონიერად მიიჩნია და იგი ძალაში დატოვა. ამასთან, გააუქმა ქალაქის სასამართლოს სამი განჩინება, რომლებითაც კავთელიშვილთან ერთად სამი ბრალდებულის საქმე წინასწარ გამოძიებას დაუბრუნდა. საკასაციო კოლეგიის განჩინებით მათ საქმეს ქალაქის სასამართლო კვლავ განიხილავს ყოველგვარი დამატებითი გამოძიების გარეშე.

ყოფილი პოლიციელი გელა კავთელიშვილი უზენაეს სასამართლოში დაპატიმრებას ელოდა. გაირკვა, რომ იგი ქალაქის სასამართლოს აღმასრულებელმა უნდა დააპატიმროს მაშინ, როდესაც უზენაესი სასამართლოდან საქმე გადაიგზავნება ქალაქის სასამართლოში. პრაიმ-ნიუსს უზენაესი სასამართლოს კანცელარიაში უთხრეს, რომ საქმეს ორ დღეში დაუბრუნებენ საქალაქო სასამართლოს და განაჩენის აღსრულებაც იმ დღესვე მოხდება. (პრაიმ-ნიუსი)

## შემთხვევა

გუშინ ფიროსმანის ქუჩაზე მდებარე №16 სახლის მცხოვრებთ მოულოდნელი უბედურება დაატყდათ თავს. ისედაც ავარიული ორსართულიანი სახლის პირველ სართულზე მდებარე კომერციული მაღაზიის მეპატრონემ კაპიტალური რემონტის გაკეთება გადაწყვიტა და იმდენად გაერთო კედლების გადატანა-გადმოტანით, რომ სახლის ფასადს საყრდენი ბოძი ფაქტიურად გამოაცალა. მეორე სართული შუა ღერძზე ჩამოწვა და სერიოზული საფრთხე შეუქმნა ისედაც ვიწრო ქუჩაზე გამვლელ ტრანსპორტს. ამჟამად ქუჩა გადაკეტილია და ყოველ წუთში შესაძლებელია სახლში მცხოვრები ოთხი ოჯახი ღია ცის ქვეშ აღმოჩნდეს. (ბეა)

## იწყება მეორე რაუნდი

ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო გაეროს ბავშვთა ფონდის UNICEF დახმარებით საქართველოში, სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ჩათვლით, 15 სექტემბრიდან იწყებს მასობრივი აცრების ორ დიდ კომპანიას – 30–50 წლის ასაკის მოზრდილების იმუნიზაციას დიფტერია-ტეტანუსის ვაქცინის მეორე დოზით და 6 წლამდე ასაკის ბავშვების იმუნიზაციას წითელას ვაქცინით. 4-5 წლის ასაკის ბავშვებს ჩაუტარდებათ რევაქცინაცია.

ყველა ვაქცინა, ასევე ერთჯერადი ხმარების ნემსებიც უსასყიდლო იქნება. (იფრინდა)


მთავარი რედაქტორის მოადგილე

გელა ებანოიძე

ტელეფონები:

რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

გაზეთის ინდექსი 66447

ფასი 50 თეთრი

დამფუძნებელი და გამომცემელი საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444